წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ. სამშაბათი, 1917 წ. თიბათვის 20 (7)

საქართველო

ხელის მოწერა და თვისებრივი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი ქალაქელებისა და უცხოელებისთვის: Тифлисъ ред. газ. „Сакартвело" поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15╳2 ღირს 6 მ.; 20╳2 ღირს 8მ., 25╳2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

არქივი

№ 132 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 132

საზოგადოების საყურადღებოდ.

გაზ. „საქართველოს" კანტორისაგან

კანტორა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას სამგლოვიარო განცხადებებს ფოსტით ნუ ჰგზავნიან. სჯობს ისევ დეპეშით გამოიგზავნოს, ვინაიდან ფოსტით იგვიანებს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ნაძალადევის კომიტეტი

აცხადებს, რომ ამ უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა

საერთო კრება

გაიმართება

ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს,

საღამოს 7 საათზე, საეკლესიო სკოლაში, პარტიულ პროგრამისა და მიმდინარე საკითხების გასარჩევად.

2—681—2

ახალი კლუბი

ოთხშაბათს, თიბათვის 21, ქართულ კლუბის დარბაზსა და ბაღში

ქართველ ქალთა ჯგუფი

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა თფილისის ორგანიზაციის სასარგებლოთ

ბალმონტისა და ქართველ პოეტების

მონაწილეობით ჰმართავს

დიდ საღამო-სეირნობას

იქნება:

კაბარე,
კონცერტი,
ბუფეტი,

ყვავილები,
„პტი-შვო",
ლოტო ფასიანი 6 ვთებით,
სხვა მრავალი გასართობი.

სალიტერატურო განყოფილებაში მონაწ. მიიღებენ: ბალმონტი, გრიშაშვილი, აბაშისპირელი, ფაშალიშვილი, ქუმბაძე.

(2—738—1)

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი

მ. ი. მაჩხაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს შემდეგ დღე. კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მადინსკის ქ. № 4. (ვ.—202—)

ექიმი

გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი

გ. ღ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი კბილისა

ე. ივ. გაღარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთველის ქუჩის კუთხე № 20.

[illegible]

მოსკ. ანსტიტუტის მე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს სახეიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

გ. გ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

საყოველთაო სიძვირე დღითი-დღე იზრდება. ამ სიძვირეს რასაკვირველია ვერ ასცდა გაზეთის გამოცემის საქმეც.

სულ მოკლე ხანში აწყობისა და ბეჭდვის ხარჯი ერთი-სამად გადიდდა, მოიმატა სხვა ხარჯებმაც. ამიტომ იძულებული ვართ, დროებით გავადიდოთ გაზეთის ფასი.

მაისის ოციდან „საქართველოს" თითო ნომერი

ღირს 10 კაპ.

ამასთანავე პირველ ივნისიდან მომატებული იქნება ხელის-მოწერის ფასიც. წლის ბოლომდე 1 ივნისიდან ღირება 10 მან., 3 თვით 5 მან., ხოლო ერთის თვით 2 მან.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გამოწერილი აქვთ უკვე გაზეთი მთელის წლით, დამატებითი ფული არ გადახდებათ.

თბილისი, თიბათვის 20.

ყაზახთა მოძრაობა

სწორედ იმ დროს, რუსეთის სარევოლუციო დემოკრატია პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა ყრილობაზედ, რომ სარევოლუციო ტაქტიკისა და პოლიტიკის საკითხებს სწყვეტდა იქვე ყაზახ—რუსთა ყრილობის მუშაობა სწარმოებდა. ეს ყრილობა ფრიად საყურადღებოა მით, რომ რუსის ყაზახებს ამ რევოლუციაში თავის გარკვეული სიტყვა არ უთქვამთ და მათ სიტყვას კი რუსეთი დიდი ხანია ელოდა. არავინ იცოდა თუ საით იყო დღეს მიშვერილი ის მათი გძელი „პიკები" 1905 წელში, რევოლუციის მებრძოლთ თავზედ, რომ იგებდენ.

პირველ ხანებში ისინი მთელ ჯართან ერთად რუსეთის თავისუფლების დამცველად აღიარეს და მათი კრძოობითი გამოსვლა რევოლუციის გამაგრების გარანტიათ.

მათი ყრილობა რევოლუციის საბედისწერო დროს შეიკრიბა როდესაც სოციალისტურ დემოკრატიას თავისი კლასობრივი გამიჯვნის ტენდენცია დაეტყო და პაციფისტური მიდრეკილება ომის გაგრძელების მოთხოვნას შეებრძოლა.

ამ ყრილობაზედ გაისმა ისე, როგორც არსად, რომ რუსეთი დაღუპვის წინ სდგას და ზოგიერთა ალვირ ახსნილობას წინააღმდეგობა ჰპირდება რუსეთის დასახსნელად. ესეთი ხმები ზოგიერთ სოციალისტურ წრეებიდანაც მოდის, მაგრამ იმ ყრილობაზედ თქმულს, რომელსაც როძიანკო და გუჩკოვი მეთაურობენ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ყაზახები ერთსულოვნად ამბობენ, რომ „რუსეთს არ გავცემთო", მაგრამ ეს არის ფიცი არა რევოლუციის დახსნისთვის, არამედ პასუხი გუჩკოვის სიტყვისა, რომელიც უხსენებს მათ იმ „სანეტარო დროს, როდესაც ყაზახები მიდიოდენ განაპირა და საშიშ ქვეყნებში, რომ ანექსიით გაეფართოვებინათ რუსეთის იმპერიის საზღვრები და კონტრიბუციით გაემაგრებიათ ფუძე სახელმწიფოსი".

რუსეთის დემოკრატიამ გუჩკოვი არ მიიღო. სოციალისტთა უმრავლესობამ ომის გაგრძელება მოითხოვა, მაგრამ არა მისთვის, რისთვისაც გუჩკოვი იბრძვის.

წერეთელი და კერენსკი აშკარად ქადაგობენ მტრის დამარცხებას, რადგან ამაში ხედავენ თავისუფლების გამაგრებას. გუჩკოვი კი უწოდებს იბრძოლონ შინაც და გარეთ იმპერიალიზმის განსამტკიცებლად.

ამ მიდრეკილებისთვის რუსეთის რევოლუციამ მასაც და მის მეგობრებს სამინისტროდან კარი უჩვენა და იმ ჯარმაც, რომელშიაც საოცარის გამბედაობით ლამობდა თავის გამტკიცებას, დასტური დასდო დემოკრატიის ორგანოთა გადაწყვეტილებას.

გუჩკოვმა პირველი კამპანია წააგო. ეხლა ის მეორეს იწყებს და თავის გარშემო ყაზახ-რუსებს რაზმავს.

„დაბლა თავს გიკრავთ და გთხოვთ დაიხსნათ ჩვენი რუსეთი, რომელიც არამც თუ დაღუპვის წინ სდგას, არამედ უკვე უფსკრულში მიექანებაო". ასე ეხვეწება იგი და აცხადებს, რომ „ყაზახები ისე არიან დღეს საჭირონი, როგორც არასოდეს"-ო.

თუ რისთვის არიან ისინი ასე საჭირონი, ამას მისი თანამოაზრე როძიანკო უფრო ნათლად ამბობს: „რუსეთში უკვე გაძლიერდა ანტისახელმწიფოებრივი ქადაგება და ამ ქადაგების მოსპობა მხოლოდ ყაზახობას შეუძლიაო".

რასაკვირველია ის იდეურ გამაგრებას ვერ იგულისხმებს იმ ხალხთა დახმარებაში, ვინც მხოლოდ ხმლისთვის და მათრახისთვის არის მოწოდებული და მისთვის გამოსადეგი; და ყაზახობაც ალტაცებით იღებს მათს სიტყვებს და მოწოდებულ დროშის ქვეშ ირაზმება.

იგი აცხადებს, რომ მათ ერთი პასუხი აქვთ: „тупымъ концомъ бей".

ეს პასუხი უთუოდ ანგარიშ გასაწევი საფრთხეა რუსეთის რევოლუციისათვის და დღევანდელ რუსეთის მდგომარეობისათვის ფრიად დამაფიქრებელი. გუშინდელმა დეპეშებმა კიდეც გვაცნობეს, რომ დონის, ყუბანის, თერგის და ასტრახანის ყაზახობამ უკვე დროებითი მთავრობას გარკვეულად აღუთქვა თავისი თავი ანარქიის მოსასპობად და რუსეთის ასახსნელად.

ყაზახობა ითხოვს, რომ რუსეთს მაგარი ხელი განაგებდეს და ეს მოთხოვნა უთუოდ იმ მოძრაობის დასაწყისია, რომელიც დიქტატურას გულისხმობს.

რუსეთის რევოლუცია საბედისწერო წამს განიცდის და სარევოლუციო დემოკრატიის გაერთიანება და განმტკიცება დღეს ხდება საჭირო ისე, როგორც არასოდეს.

პირველი ისარი

(გაზეთ „ბაქუს" საპასუხოდ)

რუსეთის დიდმა რევოლუციამ წამოაყენა ლოზუნგი ერთა განთავისუფლებისა. ვინც თანაუგრძნობს რევოლუციას, ვინც გულწრფელი მიმხრეა განახორციელოს მისი მაღალი იდეალები, მას არა აქვს არავითარი ღონე გვერდი აუხვიოს ეროვნულ საკითხს. მარა რევოლუციას, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი მტრები ჰყავს; ბევრი ისევ წარსულს ეპოტინება, წარსულ რეჟიმს, წარსულ ძალადობას. წარსული წესწყობილება, რეჟიმი მათრახის და უფლება აყრილობისა, მათთვის უფრო ძვირი და ხელსაყრელი ყოფილა. რასაკვირველია, ეს ანტირევოლუციონური ელემენტები პირდაპირ ბრძოლას ვერა ჰბედავენ, მარა ჩუმ-ჩუმად, მხდალურად და ვერაგულად, ძირს უთხრიან ისეთ დიად იდეას, როგორიც არის ერთა თვით-გამორკვევა, ერთა თავისუფლება.

აგრე იქცევა ჩვენში „ცნობილი" თანამემამულე ბ-ნი ვერმიშევი. მის გაზეთ „ბაქუში" მოთავსებული ყოფილა წერილი ვიღაც ბულგაკოვისა საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ. ყოველი ფრაზა ამ წერილისა, როგორც ფაქტიურად, ისე იურიდიულად ყოველ სიმართლეს მოკლებულია. აი მაგალითებიც.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატების პროგრამაში ნათქვამია: „ქართველი ერი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას", მგონი, აქ აზრი ნათლად და მკაფიოდ არის გამოთქმული; მიუხედავად ამისა, ბ-ონ ბულგაკოვს ეს აზრი ვერ გაუგია ან არ უნდა გაიგოს და მოჰყავს ის მოსაზრება, რომ ქართველი ერი ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა დამარცხებულიო და ხშირად შინაური არეულობაც განუცდიაო. მერე რა? რა შუაშია აქ ან დამარცხებანი, ან შინაური არეულობა?! განა დამარცხება და შინაური არეულობა იმის ნიშანია, რომ ისპობა სახელმწიფოებრივი ცხოვრება?! განა თვით რუსეთს არ განუცდია მრავალი დამარცხება და შინაური არეულობა. მარა ამით მისი სახელმწიფოებრივი ხასიათი არ მოსპობილა და არც მოისპობა. საქმე დამარცხებასა და არეულობაში კი არ არის, არამედ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ ეჭვს გარეშეა ის დებულება, რომ საქართველო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. მაშასადამე ქართველი ერი სრულებით მომზადებული და სრულებით განვითარებული ერია იმისთვის, რომ თვითონ წარუძღვეს თავის საქმეებს.—იმას არამკითხე ოპეკუნები არა სჭირია. საქართველო შემოუერთდა რუსეთს არა იმისთვის, რომ ოპეკუნები და კაპიტანისპრავნიკები გამოეგზავნა, არამედ სულ სხვა მიზნით, სულ სხვა განზრახვით. ეს მიზანი და განზრახვა ჩამოყალიბებულია 1783 წლის ხელშეკრულობაში.

ბ. ბულგაკოვის აზრით, ამ ხელშეკრულობასაც არა აქვს მნიშვნელობა, ვინაიდგან მეფე გიორგი XIII, ამბობს იგი, ჰქონდა ისეთი მოლაპარაკება რუსეთთანო, რომ ეს ხელშეკრულება გაუქმებულად უნდა ჩაითვალოსო. თუ ეს მოსაზრება იურიდიულია, ნეტავ ბ-ნ ვერმიშევს, რომ ამისთანა იურისკონსულტები ჰყოლია. სამწუხაროდ უნდა შევჩერდეთ ამ იურიდიულ ანაბანაზედ. ხელშეკრულება არის იურიდიულად დამთავრებული აქტი: იგი ხელმოწერილია, ბეჭედდასმული და უმაღლესად დამტკიცებული (რატიფიკაცია). მოლაპარაკება კი არის მხოლოდ ლაპარაკი. როგორ მოხდა, რომ საერთაშორისო აქტი, როგორიც არის 1783 წლის ხელშეკრულება, უცებ გაუქმებულა ლაპარაკით?! მერე თვითონ ბ. ბულგაკოვი ამბობს, რომ რუსეთის მეფემ ეს ლაპარაკიც თურმე შეწყვიტა, არც კი დაამთავრა, და პირდაპირ მოაწერა ხელი საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტსო.

აქედან აშკარაა, რომ ამ მოლაპარაკებას არავითარი უფლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და არა ჰქონია არც ჩვენთვის, არც რუსეთისთვის; რუსეთის იმპერატორმა ეს ლაპარაკი თვითონ შეაწყვეტინა და თვითვე თავის ნებით გამოსცა თავისი მანიფესტი. მაშასადამე, ჩვენა გვაქვს ბოლოს და ბოლოს ორი ისტორიული აქტი: ერთი—ხელშეკრულება 1783 წლისა და მეორე—მანიფესტი 1801 წ. პირველში აღნიშნულია საქართველოს პოლიტიკური უფლებანი მეორეში—უარყოფა ამ პოლიტიკურ უფლებებისა ე. ი. დარღვევა ხელშეკრულებისა. აქედან დასკვნა თავის თავად ცხადია. ან რუსეთი დაიღუპება ერთიანად, ან უნდა დაადგეს სამართლიანობას საერთაშორისო განწყობილებაში. აქ ორჭოფობა შეუძლებელია.

მაგრამ ბ. ბულგაკოვი ჰკოჭლობს არა მარტო უფლებრივ საკითხებში, იგი ძალიან სუსტია უბრალო სტატისტიკაშიც, ვისარგებლოთ იმ სტატისტიკით, რომელიც ეხლახან წარმოადგინა ბ-ნ გრუზენბერგმა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში. ბ. გრუზენბერგი არ არის ქართველი, იგი უცხო პირია და მისი სიტყვა შეიძლება უფრო მისაღები იყოს. აი, მისი გამოანგარიშებით რა პროცენტს შეადგენს ქართველობა საქართველოში:

ქუთაისის გუბერნიაში		95,2%—99%
ბათომის ოლქში	—	86,8%,
სოხუმის ოლქში	—	83,4%,
გორის მაზრაში	—	93%
დუშეთის „	—	96,2%,
სიღნაღის „	—	84,4%,
თელავის „	—	90,3%,
თიანეთის „	—	89,4%,

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ ნაწილებს, აიღეთ თუნდაც კავკასიის კალენდარი (1917 წ.) და თქვენ დაინახავთ, რომ თბილისის მაზრაში ქართველობა შეადგენს 96,040 სულს (სომხობა — 26.044 სული); ახალციხის მაზრაში ქართველობა (ქრისტიანი და მუსულმანები) შეადგენენ 48.084 სულს, (სომხები კი—4.500) მხოლოდ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში სომხები სჭარბობენ ქართველებთან შედარებით. მარა განა შეიძლება აგრე ნაწილაკეობად აღება საქართველოს ამა თუ იმ კუთხისა?! უნდა აიღოთ საქართველო როგორც საქართველო, და მაშინ დაინახავთ, რომ იგი მთლიანია, როგორც ტერიტორია და როგორც ერი. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ეხლანდელი სტატისტიკა შედგენილია იმ მთავრობის მოხელეებისგან, რომლის ერთად-ერთი პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში იყო ქართველი ერის განადგურება. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ქართველი ერი თავის ტერიტორიაზე შეადგენს არა ნაკლებ 85 პროც. მთელი მოსახლეობისას და უცხო ელემენტი მასში არ აღემატება 14—15 პროც.

ამიტომ ქართველობა წარმოადგენს მთლიან ერს და უჭირავს ერთი მთლიანი ტერიტორია. ამ მხრივ ავტონომიის საფუძველი შეურყეველია.

მარა—როგორ მოეწყობიან ის უმცირესობანი, რომელნიც ეკუთვნიან სხვა ეროვნებასო; გვეკითხება ბ. ვერმიშევი ბულგაკოვის პირით.—სწორედ ისე ბატონო, როგორც არიან მოწყობილი შვედები—ფინეთში, ებრაელები პოლონეთში, ფრანგები—ონტარიოში ან ბურები—კაპში. განა ეს მოსაზრება მოსატანია ავტონომიის წინააღმდეგ?! საქართველოს ავტონომია უნდა დამყარდეს აუცილებლად, და რაც შეეხება უმცირესობას, რასაკვირველია, მათი ეროვნულ-კულტურული უფლებანი უზრუნველყოფილი უნდა იქმნეს ავტონომიის ძირითადი სტატუტით.

სწორედ აქ უნდა გაეწია ბ. ვერმიშევს სამსახური. თელაველი მემამულე, საქართველოს დედა-ქალაქის მოურავედ ყოფილი, იგი თავის დაბადებითვე შეკავშირებულა საქართველოს ბედთან; მიუხედავად ამისა, იგი მაინც წინააღმდეგია იმ ქვეყნის აღდგენისა, რომელმაც მას მისცა სიცოცხლე, ბინა და განვითარება. რათა? დამერწმუნეთ, თქვენი ჩლუნგი და ქენჯნიანი ისრებით საქართველოს არა დააკლდება რა, მხოლოდ საქმეს ამწვავებთ და ეს კი ეხლანდელ მომენტში არ ეპატიება არავის.

გიორგი გვაზავა

ჯარი შეტევაზე გადადის!

რუსეთის რევოლუცია თავის მიმდინარეობის ახალ ხანაში გადადის. ომის გაგრძელებისა და „ძმობისთვის" ბრძოლამ რუსეთის ჯარი სრულ უმოქმედობამდის მიიყვანა და შინაურმა პარტიულმა განხეთქილებამ რევოლუცია თითქმის დაღუპვის კარზედ დააყენა. სოციალისტთა უმრავლესობამ რუსეთის განსაცდელი სავსებით იგრძნო და ჯერ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ, შემდეგ პროვინციელმა საბჭოებმა და სულ უკანასკნელად სრულიად რუსეთის მუშათა საბჭოების ყრილობამ ერთხმად ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოიტანა რეზოლუცია ომის გაგრძელების აუცილებლობისა.

რევოლუციის მედროშემ კერენსკიმ თავს იდვა ჯარის საომრად ამოქმედება და აი დღეს უკვე მისი ბრძანებაა გამოქვეყნებული, რომელშიაც იგი რევოლუციისა და სამშობლოს სახელით ჯარს ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

სიტყვა უკვე საქმედ იქცა და მხედრობა საომრად არის ამართული. მთავარსარდლის შტაბი გვატყობინებს, რომ პირველი იერიშები გამარჯვებით დასრულებულა. მეორე არმიას სოფელი კონიუხა აუღია, სამი გამაგრებული საომი ხაზი დაუპყრია და ახალ პოზიციებზედ დაწყობილა. გაუმარჯვნია მესამე არმიასაც ბრჟეზანის რაიონში.

კერენსკის პირველი წადილი კეთილად ასრულდა; ჯარი იერიშზედ გადავიდა.

არავისთვის დასაფარი აღარ არის, რომ ბრძოლა ფრიად მძიმე მდგომარეობაში იქნება საწარმოებელი, რადგან გერმანელები დიდი ხნის დასვენებული არიან და შეტევისათვის საკმაოდ მხნედ მომზადებულნი. მათი საიერიშოთ გადმოსვლის სამზადისი ერთ-ერთი საბაბი იყო, რომ რუსებმა პირველად მიიტანეს იერიში.

რუსის ჯარი კი დისციპლინის დაშლით და ბოლშევიკების ომის საწინააღმდეგო აგიტაციით ვერ არის გერმანელთა შესაფერი მოწინააღმდეგე.

და ამიტომ ერთი ათად მძიმეა რუსის მხედრობის მოვალეობა სამშობლოსა და რევოლუციის წინაშე, რომ დაიჭიროს ყოველი ძალა და მტერს მხნედ წინააღუდგეს; წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციის ბედი უფსკრულისაკენ გაექანება—ამას აღარ ფარავს არც მინისტრი კერენსკი, არც ჯარის კაცთა და მუშათა საბჭონი. კერენსკიმ თავის ვალი ნაწილად შეასრულა—ჯარი საომრად გაიყვანა—ეხლა სოციალისტურ დემოკრატიისა და განსაკუთრებით მათ ოფიციალ ორგანოთა ვალია მისცეს საომო ძალი ბრძოლაში გასულ მხედრობას.

რევოლუციის ბედი ფრონტზე სწყდება.

ლ.

ეროვნული

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. თიბათვის 17. **დასავლეთ ფრონტზე** პრიპიატის სამხრეთით ზოგ-ზოგ ადგილებში ჩვენი და მტრის არტილერია მოქმედობდა. მათ მოქმედებას ზოლოჩევსკის და ბრჟეჟანის მიმართულებით უფრო მეტი სიმძაფრე ეჩნეოდა.

რუმინეთის ფრონტზე სროლაა.

კავკასიის ფრონტი. სენნეს ჩრდილო-დასავლეთით ჩვენებმა გარრანის გადასასვლელი დაიჭირეს და დასავლეთისკენ წაიწიეს. წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე.

პეტროგრადი. თიბათვის 18. **დასავლეთის ფრონტი.** ზოლოჩევის და ბრჟეჟანის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა.

რუმინეთის ფრონტი. ჩვენმა არტილერიამ მტრის მატარებელი კარპატებში მიმავალი დაამსხვრია.

კავკასიის ფრონტი. პენჯვინის მიმართულებით ოსმალებს იერიში მოჰქონდათ.

მფრინავთა მოქმედება. პოსტავის ჩრდილოეთით მფრინავმა გორბუნოვმა მტრის საფრენები აიძულა ძირს დაშვებულიყო. მეორე ბრძოლაში გმირულად დაიღუპა მფრინავი ორლოვი, რომელსაც გერმანეთის ორ საფრენთან მოუხდა ბრძოლა. პნევის რაიონში მფრინავმა ივანოვმა მტრის საფრენი ჩამოაგდო.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. თიბათვის 16. **საღამოს ოფიციალი.** იურტებიზას მახლობელ ძეგლის რაიონში, კასკაზს, ტეტონის გორაკებზე და მთა კორნილოზე არტილერია დროგამოშვებით ჰმოქმედებს. მაასის მარცხენა კიდეზე ჩვენი არტილერია ენერგიით ჰმოქმედობდა. ჟუის სამხრეთით მონროშის მაღლობის ფერდობზე მტრის პატრული მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება. ჩვენმა მფრინავმა კრონნას სამხრეთით მდებარე ტყის მახლობლად გერმანელთა ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდო. დაჭრილი ავიატორი და მზვერავი აფიცერი ტყვედ წამოვიყვანეთ.

ახლო აღმოსავლეთი.

პარიზი. თიბათვის 14. მთელ ფრონტზე არტილერია დროგამოშვებით ჰმოქმედობს.

ბელგეთის ბანაკის ცნობა

ჰავრი. თიბათვის 14. **ოფიციალი.** წარსულ ღამის განმავლობაში სენჟორჟის სამხრეთით მტერი ჩვენს სანგრებს არტილერიის ცეცხლში ახვევდა. მათ ერთმა რაზმმა მოასწრო ჩვენს ერთ სანგარზე თავდასხმა, მაგრამ სანგრების დამცველებმა ხელჩართულ ომით მტერი დიდის ზარალით უკუ აგდო. მთელს ფრონტზედ არტილერია მეტად ცხარედ მოქმედებს, განსაკუთრებით კი სტეენსტრატეს მახლობლად.

ამერიკელები ფრანგებს ჯარს აშველებენ

ვაშინგტონი. თიბათვის 15. საფრანგეთში გასაგზავნი ამერიკელებთა რაზმები მთლად რეგულიარულ ჯარისგან შეადგინეს.

გერმანელთა ჰაეროპლანების მოქმედება

ოდესა. თიბათვის 9. (დაგვიანებულია) გერმანელების 4-მა ჰაეროპლანმა ხილკოვსკის გარეთ უბანში 11 ყუმბარა ჩამოაგდო. ცოტა მატერიალური ზარალი მოგვაყენეს და რამდენიმე კაცი დაგვიჭრეს.

სათადარიგო პოლკების საომრად გასვლა

სარატოვი. თიბათვის 13. (დაგვიანებულია) ორ სათადარიგო პოლკის ფრონტზე გაგზავნის შესახებ კერენსკის დეპეშამ ჯარში ჯარში აღშფოთებული ბჭობა გამოიწვია. კრებაზე მოსულმა ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ თუმცა ჩვენ კერენსკის მოქმედებით კმაყოფილნი არა ვართ, მაგრამ კანონიერ მთავრობის ბრძანება მაინც უნდა აასრულოთო. დადგენილია ამ ორ პოლკს ჯარის ზურგთ-უკან მომუშავის სახელით დამალულებიც გააყოლონ.

რეიმსს ზარბაზანს უშენენ

პარიზი. თიბათვის 16. გერმანელები რეიმსს ზარბაზანს უშენენ. დღეს აქ 12.000 ყუმბარა ჩამოვარდა. მათგან 8 ტაძარს მოხვდა.

„ცეპელინის“ თავდასხმა

რიგა. თიბათვის 16. წუხელის რიგას თავს დაესხნენ გერმანელთ „ცეპელინი“ და დირიჟაბლი, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ სროლა აუტეხა და მალე გააბრუნა.

გერმანელების ცდა

რიგა. თიბათვის 16. მიტავის მიმართულებით დრო-გამოშვებით არტილერია ჰმოქმედობდა. გერმანელები ცდილობენ ჯერ ჩვენი ძალა შეიტყონ და შემდეგ შესაფერ შემოტევისათვის შეემზადნენ.

გაზეთების აზრი ამერიკის ჯარის ევროპაში მოსვლაზე

ნიუ-იორკი. თიბათვის 16. ნიუ-იორკის „ნვინგენი“ აღტაცებულია ამერიკელთა ჯარის საფრანგეთში გადასვლით. იგი სწერს: ამერიკელი ჯარისკაცები პირისპირ დაუდგნენ იმ საშინელებას, რომელსაც უკვე სამი წელიწადია რაც მოძმე საფრანგეთის, ბელგეთისა და დიდბრიტანეთის ჯარი შეუდრეკლად ებრძვისო.

გენ.-ლეიტ. მინუტი.

პეტროგრადი. თიბათვის 16. მთავარსარდლის უფროს შტაბის გენერალ-ლეიტენანტი მინუტი მინსკის სამხედრო ოლქის უფროსად დაინიშნა.

ინგლისის მეზღვაურები და რუსეთი

ლონდონი. თიბათვის 15. გუშინ მოხდა მეზღვაურთა კონფერენცია. დადგენილ იქმნა მაკდონალდს და ჯოუეტს რუსეთში გამგზავრება აიკრძალოთ, როგორც მუშათა წარმომადგენლებს. შემდეგ წაკითხულ იქმნა გენერალ გენდერსონის დეპეშა, რომელშიაც გენერალი სთხოვდა, რომ რუსეთში გამგზავრებას ნუ აუკრძალავთო. ამის შესახებ მდივანის მიერ წარმოდგენილ იქმნა რეზოლიუცია. რეზოლიუცია მიღებულ იქმნა.

ინგლისის სოციალისტების უარი სტოკჰოლმის-კონფერენციაზე დასწრებისა

ლონდონი. თიბათვის 14. ბრიტანეთის ნაციონალურ პარტიის სოციალისტების აღმასრულებელ კომიტეტმა სტოკჰოლმის სოციალისტურ კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი სთქვა. მის აზრით, ავსტრია-გერმანელთა სოციალისტების მონაწილეობით შემდგარი ყრილობა ზავისა და სოციალიზმის საქმეს ვერ განამტკიცებს, რადგან თავიანთი მთავრობის ულმობელობა და მოკავშირეებზე თავდასხმა იმათაც მოსწონთო.

გრიმისა და გოფმანის საქმე

ბერნი. თიბათვის 16. ნაციონალურ საბჭოში გრიმისა და გოფშინის საქმის განხილვა სწარმოებს. ვილლი გოფმანს ჰკიცხავს. კავშირის პრეზიდენტი შულგესი ეწინააღმდეგება. შულგესი უარჰყოფს იმას, ვითომ ქრისტეშობისთვეში გოფმანს რომში შვეიცარიის ელჩი მიეწვვიენოს სონნინოსათვის გერმანეთთან სეპარატიულ ზავის წინადადების გადასაცემად. შულგესმა უარჰყო აგრეთვე სხვა ბრალდებებიც და განაცხადა, რომ შვეიცარია საშინელ მდგომარეობაშია. ამით უნდა აიხსნებოდეს გოფმანის მშვიდობიანობისკენ ლტოლვაო. ორატორმა განაცხადა, რომ არც რუსის მთავრობა ამოწმებს იმას, რომ გოფმანი—გერმანელების აგენტი ყოფილიყოსო.

ნოტა კონფერენციის მოსაწვევად

პეტროგრადი. თიბათვის 16. გარეშე საქმეთა მინისტრმა ალბერტ ტომას ომის მიზნებზე შესათანხმებელ კონფერენციის მოსაწვევი ნოტა გადასცა. ამასთან კონფერენციის მოწვევა ეცნობა ინგლისის, იტალიის, იაპონიის, ამერიკის, რუმინეთის, ბელგეთის, სერბეთის და პორტუგალიის მთავრობების პეტროგრადში მყოფ წარმომადგენლებს.

რევოლუცია

დეპეშები

ინვალიდების ყრილობა.

პეტროგრადი. თიბათვის 16. დაიწყო სრულიად რუსეთის ინვალიდების ყრილობა. ყრილობას 200-ზე მეტი კაცი დაესწრო. ბევრმაც ჩამოსვლა ვერ მოასწრო. კრება დაიწყო ავსტრიიდან დაბრუნებულმა უფეხო ინვალიდმა, მთავარ შტაბის პოლკოვნიკმა კისლოვმა. მან თავის სიტყვით ყრილობას მეგობრულ შრომისკენ მოუწოდა. ყრილობა იმსჯელებს მთავრობასთან და ომთან დამოკიდებულობაზე. დამფუძნებელ კრებაში დაშავებულ ჯარისკაცთა მონაწილეობაზე და დაჭრილ-დაშავებულთა ეკონომიურ საჭიროებათა შესახებ იმსჯელებს. ყრილობას მთავრობის სახელით მინისტრი შახოვსკი მიესალმა. სხვათა შორის მან ყრილობას უთხრა, თქვენ, როგორც ომის მსხვერპლებს ნება გაქვთ მთავრობისაგან უზრუნველყოფა მოითხოვოთ და მთავრობაც შეძლებისადაგვარად ყველაფერს აგისრულებთო. კრების შეწყვეტის შემდეგ არჩეულ იქმნა სამანდატო კომისია, რომელსაც დეპუტატების სრულუფლებიანობის შემოწმება დაევალა.

ბოლშევიკების წინააღმდეგ

ნიჟნი-ნოვგოროდი. თიბათვის 15. პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ განზრახულ დემონსტრაციების გამო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის უკანასკნელ კრებამ რეზოლიუცია მიიღო ყოველივე კერძო მოქმედება, როგორც რუსეთის რევოლიუციის საქმის დამღუპველი, უნდა აიკრძალოს.

ჯამაგირის გადიდება და მოთხოვნა

დონის-როსტოვი. თიბათვის 12. (დაგვიანებულია) ნავთსადგურზე მომუშავე მტვირთველები თვიურ ჯამაგირს 30 თუმანს ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვას იმუქრებიან. ეს კი ნავოსნობას შესწყვეტს.

კონფეტი შაქრის მაგიერ

პეტროგრადი. თიბათვის 16. სახელმწიფოს სასურსათო კომიტეტმა დაადგინა, რომ მცხოვრებლებს საკანგებო ბარათებით ერთ გირვანქა შაქრის მაგიერ გირვანქა ნახევარი კონფეტი აძლიოს. მეკანდიტერეებს შოკოლადის, კარამელის და მარმელადის დამზადების ნება დართეს.

პეშეხონოვის განცხადება

პეტროგრადი. თიბათვის 15. სახელმწიფოს სასურსათო კომიტეტის კრებაზე სასურსათო მინისტრ პეშეხონოვმა სთქვა, დროებით მთავრობამ თიბათვის 7-ს დამვალა ხალხს პირველ საჭიროებათა ნივთები, ფართალი, ფეხსაცმელები, ნავთი, საპონი და სხვა მივაწოდოთო.

რკინის გზის მოწესრიგებისათვის

პეტროგრადი. თიბათვის 16. შინაგან საქმეთა მინისტრი მოუწოდებს საგუბერნიო კომისარებს, რომ რკინის გზის საქმეში ჩარევაზე სამაზრო კომიტეტებს ხელი აალებინოს.

აჯანყებულ ორ დივიზიის დამორჩილება.

მოქმედი ლაშქარი. თიბათვის 16. ციმბირის მსროლელთა მე-12 და მე-13 დევიზიის შესახებ სამხედრო მინისტრის ბრძანების სისრულეში მოსაყვანად თიბათვის 10 ცხენოსნებმა ალყა შემოარტყეს სოფელ ჟუკოვს, სადაც ზემოხსენებული დივიზიები იყვნენ შეფარებულნი. ცხენოსნებმა სოფლის მახლობლად მოხეტიალე 100 კაცი შეიპყრეს. ალყის შემორტყმიდან 14 საათზე კომისარ გრიგორევმა იარაღის აყრის შესახებ უკანასკნელ ბრძანებით მიმართა. ულტიმატუმი 18 საათზედაც არ იქმნა ასრულებული. 20 საათზე სოფელს ერთმა ბატარეამ ორჯერ ესროლა, ყუმბარების მაღლა გახეთქვით, მაგრამ აჯანყებულები არც მაშინ დანებდნენ ჯარს. მაშინ გრიგორევის ბრძანებით ცხენოსნები სოფლისკენ წავიდნენ. მათმა შესვლამ ყაზახები შეაშინა და 22 საათზე 400 მა თუ 500-მა კაცმა იარაღი დაჰყარა. შემდეგ იარაღი დაჰყარა კიდევ 600 კაცმა. სიბნელის გამო სახლების დაჩხრეკვა დილისთვის გადაიდო. დანარჩენებმაც დამორჩილებაზე სრული თანხმობა განაცხადეს. ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა.

სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობა.

ყაზახთა საბჭოს დაარსება.

პეტროგრადი. თიბათვის 16. სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობა ყაზახების თვითმართველობის საკითხის განხილვას შეუდგა. დიდი მსჯელობა გამოიწვია საკითხმა, თუ როგორი ორგანიზაცია უნდა იყოს კავშირი,—პოლიტიკური თუ ადმინისტრატიული. უმრავლესობა მეორის მომხრეა. კავშირს მიზნად აქვს ყაზახთა გაერთიანება რუსეთის ძალის განსამტკიცებლად. ყაზახთა საქმეებს განაგებენ საერთო ყაზახთა წრე და კავშირის საბჭო. საბჭო სამი წლით იქნება ამორჩეული. მისი შემადგენლობა: დონის ყაზახთაგან 6 წარმომადგენელი, ყუბანისა—5, ციმბირისა—3, სემირეჩენსკის—2, თერგის—2, ორენბურგის—4, ურალისა—3, ზაბაიკალის—3, ასტრახანის—2, ამურის—2, უსსურიის—2, კრასნოიარსკის—1 და ირკუცკისაც—1.

მისალმებანი.

პეტროგრადი. თიბათვის 16. სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა ყაზახთა ყრილობისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ყაზახთა ყრილობა და ყაზახთა კავშირის საბჭოს წარმომადგენლნი მიესალმებიან სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტს, როგორც რუსეთის ერის ახალ ცხოვრებისაკენ გზის მაჩვენებელს. მადლობას ვუძღვნით სათათბიროს ყველა წევრებს, რომელთაგანაც დროებითი მთავრობა შედგა.

ესენტუკი. თიბათვის 14. ესენტუკის ყაზახთა ერთ წრემ ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარეს მისალმების დეპეშა გაუგზავნა და თავისუფალ რუსეთის სასარგებლოდ ნაყოფიერი მუშაობა უსურვა. ყაზახები, სხვათა შორის მოითხოვენ ცალკე ჯარის შედგენას.

ყაზახთა ყრილობა

ყაზახები დროებით მთავრობას მხარს უჭერენ.

პეტროგრადი. თიბათვის 16. თერგის, ყუბანის, დონისა და ასტრახანის ყაზახთა დელეგატები დროებით მთავრობას ანარქიასთან საბრძოლველად თავიანთ ძალას ჰსთავაზობენ. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის საგანგებოდ შემდგარი ყაზახთა კომისია შემდეგ საარჩევნო დებულებებს აყენებს: ყაზახთა დეპუტატების რაოდენობა [illegible] მცხოვრებთა რიცხვს უნდა შეეფერებოდეს. ფრონტის ყაზახებმა დამოუკიდებელი ამომრჩეველი კორპუსები უნდა შეადგინონ. საჭიროა, რომ დამფუძნებელ კრებაში ასტრახანის, ურალის, ციმბირის, სემირეჩნის, ამურის, უსსურიისა და ენისეის ჯარს თავთავიანთი წარმომადგენლები ჰყავდეთ. დამფუძნებელი კრება მოსკოვს უნდა იქმნეს მოწვეული.

შრომის მინისტრის აზრი მუშების შესახებ.

მოსკოვი. თიბათვის 16. შრომის მინისტრ სკობელევმა ინახულა საეროებო და სამოქალაქო კავშირები. მისალმების საპასუხო სიტყვაში, სხვათა შორის სთქვა, რომ მუშათა საკითხი სამუშავო ფასის მომატებით არ გადასწყდებაო. სხვა და სხვა საქმეების მუშათა ხელში გადასვლა—სოციალიზმის დაახლოვება და არა მრეწველობის დაღუპვაო.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა

პეტროგრადი. თიბათვის 16. სექციათა მუშაობის შემდეგ საერთო ყრილობა განახლდა. ყრილობამ მოისმინა ამერიკის შრომის ფედერაციის წარმომადგენლის მოლოცვა. შემდეგ მოხსენება წაიკითხა უმაღლეს გამომძიებელ კომისიის თავმჯდომარემ მურავიოვმა. მისი აზრით პასუხისგებაში უნდა იქმნან მიცემული ძველი რეჟიმის პირველი სამი კლასის მოხელენი. მურავიოვმა განაცხადა, რომ გამოძიების პირველმა ნაბიჯებმა დაგვარწმუნა, რომ რუსეთში რევოლუცია აუცილებელი იყო და მისი გამარჯვებაც ბუნებრივია. დიდი მოხელენი იქნებიან პასუხისგებაში მიცემული მათივე შედგენილი კანონებით. მურავიოვმა სთქვა აგრეთვე ისიც, რომ ისეთნაირ დეპარტამენტს, როგორიც პოლიცია იყო, არ შეეძლო ერთი დღე გაეტარებინა, რომ რამე სასტიკი დანაშაული არ ჩაედინა. დიდი ყურადღება მიაქცია შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების მოქმედებას.

დროს უქონლობის გამო მურავიოვმა ძლიერ ცოტა მაგალითები მოიყვანა, მაგრამ ამანაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. გამოაშკარავებულ იქმნა, თუ როგორ აფარებდნენ ხელს მკვლელებს, როგორ უწევდნენ მფარველობას პროვოკატორებს, როგორ ხსნიდენ წერილებს და სხვ. მურავიოვმა თავის სიტყვის ბოლოში თხოვნით მიჰმართა მსმენელებს, რათა დაეხმარონ ადგილებზე გამოძიების საქმეებში. აუცილებლად საჭიროა, ყველგან გამოაშკარავებულ იქმნას ცენტრალ მთავრობის დანაშაული. ამისთვის აუცილებლივ უნდა დაეხმარონ პროკურორს საქმის შესრულებაში.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქმნა დელეგატი საერთაშორისო კონფერენციაზე გასაგზავნად. იგზავნებიან გოლდენბერგი, სმირნოვი, ერლიხი და რუსანოვი. შემდეგ ყრილობამ იმსჯელა

პეტერბურგი

რომანი

ანდრეი ბელის

1.

ანდრეი ბელის გონია, რომ ქონდრის კაცმა მოატყუა ზარატუსტრა. გახსოვთ დიალოგი კარლიკის და ზარატუსტრასი?

— ყველაფერი სწორი სტყუის, ყოველი ჭეშმარიტება—მრუდეა. თვითონ ჟამიც აკეთებს წრეს. ძალიან მაღლა ისროლე ქვა, შენ ზარატუსტრა, მაგრამ ეს ქვა შენვე უნდა დაგეცეს თავზე. ჭეშმარიტად თავის ჩასაქოლად ხარ შენ არჩეული“... ასე ეუბნებოდა ქონდრის კაცი ზარატრუსტრას. ამაში არ იყო მაცდური ტყუილიც.

ამ სიმძიმის სულს იცნობდა ზარატუსტრა. ზარატუსტრა იცნობდა იმ გავლილ გზას, რომელიც შემდეგ კიდევ უნდა გაირბინოს, იმან იცოდა, რომ ყველაფერი რაც იქნება, კვლავ დაბრუნდება შემდეგ ყოფნად. ბევრი გამოიტანჯა ნიცშე თავის გამტყდარი სულით, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც იდეა მარადის დაბრუნდების. ანდრეი ბელის გონია, რომ რუსული ხელოვნება აკეთებს ამ წრეს.

— ემორჩილება მხატვრობაც ამ წრის მობრუნებას. მღებავს ტეხნიკურ ულონობიდან, ოლეოგრაფიიდან და ფოტოგრაფიის ნახვეტებისგან, ჩვენ მივეხეთ ვრუბელამდი ასვლა, რომ გადმოვარდნილიყვით ვრუბელიდან და მდაბლად დავეცემოდით ერთი უზარმაზარი [illegible] (ალბად რეპინი). იყო დრო ვკითხულობდით მაჩტეტს და გვიკვირდა მისი კანდიერება, შემდეგ ნიცშე, სტეფან მალლარმე, ბოდლერი—გეორგე და რილკეც, უცებ პშიფიშევსკები, მანნები და ყველა ექვსას სამოცდა ექვსი მწერალი ნორვეგიიდან (იყო დრო ყველა ეს სახელები ვიცოდით) ეხლა ჩვენ არ ვკითხულობთ ნორვეგიელებს, ეხლა ჩვენ ვკითხულობთ ესპანელებს, ეჩერგაიას და იბანიეს. ვის,ვის არ ვკითხულობთ ჩვენ, ყველაზე უფრო ვკითხულობთ ავერჩენკოს. ის ასე სუბუქად სწერს, სიმსუბუქეში გაუსწრო ნიცშეს. ვკითხულობთ კიდევ ავერჩენკოს და „ძალა თვითონ თქვენშია“. (გახსოვთ რეკლამა გაზეთში—დიდი შავი თვალი და თვალები ისვრიან ელვებს“...) ო, ეს მართალია. ეს სურათია დღევანდელი დღის რუსული მწერლობის გაველურებისა. მაგრამ სად არის აქ წრე, სად არის აქ დაბრუნება? ავერჩენკოს იმდენად აქვს უფლება წარსულზე, რამდენადაც ანდრეი ბელის, უკეთ ორივეს არაფერიც არ აქვთ. თუ ანდრეი ბელიმ გამოიტანჯა ნიცშე და მალლარმე (უკანასკნელი დაღუპვაც შეიძლება) ასეთივე ან და ნაკლები კეთილსინდისიერებით ავერჩენკომ გადმოიტანა ვინმე ჯერომ ჯერომი, რომ სხვა არ ითქვას. აქ მხედველობიდან გაშვებული არის რუსული ფუტურიზმი, რომელიც შეიძლება უფრო საინტერესო იყოს სწორედ ამ წრის მობრუნების ახსნისთვის.

ეროვნული თვალთსაზრისით ყველაზე უფრო შეიძლება რუსული ფუტურიზმის გამართლება. ფუტურისტები რუსეთში უნდა მისულიყვნენ და არ შეიძლებოდა მათ სხვა სახე მიეღოთ, გარდა იმისა, რომელსაც ატარებენ. ამათაც დაიწყეს რემბოთი და ლაფორგით, განაგრძობენ ბაზაროვით და გაათავებენ „ხლისტობით“. ეს ძველი გზაა, აქ სუნთქვაა ქაოსის და დაინახავთ რაც არის ქაოსი!..

2.

— რა არი ცხოვრება ადამიანის, თუ მოგონება გადასულ მოვლენებზე არ აკავშირებს აწმყოს წარსულთან“ ციცერონის ამ სიტყვებით. იწყებს განხჯვას რუსეთის სულისას პეტრე ჩაადაევი და განაგრძობს:

— ჩვენ როგორც უკანონო შვილები მოვედით ქვეყანაზე უმემკვიდრეოთ. არაფერი კავშირი არ გვქონია, იმ ხალხთან ჩვენზე უწინ, რომ ცხოვრობდნენ. ჩვენ არ ვინახავთ გულში არც ერთ იმ გაკვეთილს, რომელნიც უსწრობდნენ ჩვენ ყოფნას. ჩვენი მოგონებები არ მიდიან გუშინდელი დღის იქით, ჩვენ ასე ვსთქვათ უცხონი ვართ თვითონ ჩვენთვისაც. ისე უცნაურად ვმოძრაობთ ჟამში, რომ ყოველი ნაბიჯით წინ წასული წამი ქრება ჩვენთვის დაუბრუნებლად. ეს ბუნებრივი რეზულტატია კულტურის, რომელიც სულ დამკვიდრებულია გადმოღებაზე და მიბაძვაზე ჩვენ სრულიად არ გვაქვს შინაგანი განვითარება და ბუნებრივი პროგრესი. ყოველი ახალი იდეა უკვალოდ აძევებს ძველებს, იმიტომ რომ ის არ გამოდის ამისგან და ღმერთმა იცის საიდან გვევლინება. ჩვენ ვიზრდებით, მაგრამ არ ვმწიფდებით, მივდივართ წინ, მაგრამ მრუდე ხაზით ე. ი. იმ ხაზით, რომელსაც არ მივყავართ მიზნამდი“... შემდეგ ჩაადაევი განაგრძობს, რომ ეროვნება, როგორც ადამიანი ზნეობრივი არსებაა. რომ ერს ზრდის ს უკუნეები, ისე როგორც პიროვნებას წელიწადები და დაასკვნის: რუსეთი არის რაღაც გაუგებრობა. იყო დიდი სკანდალი. პ. ჩაადაევი გამოაცხადეს შეშლილად ასეთი იყო ნება იმპერატორი ნიკოლოზ I. მაგრამ აქ მხოლოდ დაწყება იყო ფიქრის, ამის შემდეგ დავა არ გათავებულა ვიდრე ჩვენ დღემდე. „თუჯის მხედარი“ (Мѣдный Всадникъ“) ისევ დგას ყალყზე ამდგარი ცხენით და ზხუნიდან იყურება მიმფრინავი ჰოლანდიელი. იყო ჯადოქარი იმპერატორი—ხირურგი, რომელმაც რუსეთს გაუკეთა საშინელი ოპერაცია და ავადმყოფი ჯერაც ვერ გამორკვეულა ნისლიან შეგნებიდან... მაგრამ აქ თითქო არც კი არი შეგნება, არი მხოლოდ სულის ალრჩევა და ვნებიანი კივილი.

ყოველი მწერალი ფიქრობს თავის დამკვიდრებას, ამისათვის ყველაზე საჭიროა ეროვნული თავის დამტკიცება, მაგრამ აქ ჩნდება ქაოსი, აქ ჩნდება, რომ რუსეთი არის რაღაც გაუგებრობა, რომ იმას არ აქვს წარსული, და წარსულის გარდა არ აქვს არც დღევანდელი ყოფნა, რომ ის არის რაღაც ეფემერობა. გასაგებია ფრანგი ფლობერი, როცა ამბობს, მე ვიქნებოდი დიდებული მისტიკოსი, რომ ფორმის სიყვარული არ მიშლიდესო. სწორედ ეს ფორმის უქონლობა ასაზრდოებს რუსულ მისტიკას, და მისი სტიქია იშლება ქაოსში.

დოსტოევსკი, ტიუტჩევი, გოგოლი, ვ. სალავიოვი და ეხლა ანდრე ბელი ერთ სიმღერას მღერიან.

Про древный хаосъ, про родимый...

3.

მაგონდება ერთი შემთხვევა. ეს იყო შარშან, ძლეული რუსის მხედრობა უკან რომ იხევდა. გალიციიდან, რუსეთის პოლონეთის სამეფოდან მოდიოდენ გამოქცეული პოლონელები. ერთ კვირაში მოსკოვი, თითქო გამოქცეულთა ბანაკად გადაიქცა. რაღაც მწუხარე და საბედისწერო იყო ამ ხალხში. ქუჩებზე დადიოდენ ნაღვლიანი ლანდები და ეს ლანდები სტიროდენ, მე მაშინ ვიგრძენი ფიზიკურად, რა არი სამშობლო და როგორ უყვართ იგი პოლონელებს. გამოქცეულ პოლონელებში იყვნენ მწერლებიც. ერთ ინტიმიურ წრეში გაიმართა რუსულ პოლონური საღამო. ამ ღამეს რუსი პოეტი კ. ბალმონტი კითხულობდა თავის თარგმანს იული სლოვაცკის პოემისას „ფერისცვალება მსხვერპლის“. ეს კოსმოგონიური პოემაა და პოემაში ატირებულია პოლონეთის ბედი. კითხვის შემდეგ ბალმონტი სევდიანი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა თეთრ რაინდზე, სისხლიდან რომ იცლება და სლოვიანთა ოჯახის გათიშვაზე. სიტყვა სთქვა პოლონელმა პოეტმა ტადეუშ მიცინსკიმ. არას დროს უბრალო სიტყვებს არ ქონიათ იმდენი სისოვლე, როგორც მაშინ. ამბობდა გერმანელ რაინდებზე ცეცხლით და მახვილით, რომ დაძრწოდნენ უწინ პოლონეთში, ამბობდა იმ გერმანელ ლეიტენანტზე, რომელმაც გაუპატიურა ქალების მონასტერი (მაშინ გაზეთებში იყო იმაზე ცნობა) თითქო ყველა მონაზვნები ერთად სტიროდენ მაშინ ზალაში. და ეს ტირილი უერთდებოდა სლოვაცკის და მიცკევიჩის ტირილს, უბედურებას და შირეულ ციმბირიდან შემოისმოდა უბედურ მებადურების ემიგრანტების ძვლების ფლეიტაზე ატირებული ხმები.

ვიაჩესლავ ივანოვმა თავის სიტყვა იმით დაიწყო, რომ დაწყევლა ლუციფერი, გერმანელი ქაჯი, რომელიც უშლის აშენებას თეთრ სლავიანურ ტაძარს. ყველანი შეერთდენ იმაში რომ არ არი სიტყვა ისეთი საძაგელი, როგორც სიტყვა „ორგანიზაცია“ და რომ კულტურა გერმანული მოგონების სიტყვაა და უარყოფს თეთრ იმედს თეთრი ღვთის ქალაქისას, რასთვისაც გერმანეთი უნდა მოისპოს. და ეს სიტყვები გერმანეთის მოსპობაზე კარგავდენ იმ ძალასაც, როცა ულონობა სტირის სასოწარკვეთით, აქ იყო რაღაც ვნებიო ქადილი და საჭირისული გაბოროტება, მაგრამ ვერავინ იტყოდა, რომ ამაში არ ყოფილიყო დიდი ტრაგიზმი. მე ბევრს მივხვდი იმ ღამეს, მივხვდი თუ რატომ გაათავეს რუსმა სიმვოლისტებმა „კალმიკური ხლისტობით“, სიმვოლიზმი ხომ, ხომ პირველ ყოვლისა შეგნებაა ფორმის. აუღელვებლად ვკითხულობ ეხლა წერილებს „პატრიოტულ სიფილისზე“, თუმცა ეს ა. ჰერცენს ეხება და როცა „Лѣтопись“-ის „მოხუცი“ ბურცევზე და პლეხანოვზე ამბობს, რომ მათ სული და გული

ეროვნული

ორგანიზაციების მოწყობის შესახებ. ჯერჯერობით მოსმენილ იქნა მოხსენება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალ ორგანოს დაარსების შესახებ.

დამფუძნებელი კრება

არჩევნების მომწყობი კომისიები.

პეტროგრადი. თიბათვის 16. დამფუძნებელ კრების მომწვევ საბჭოში მსჯელობა იქონია იმ დაწესებულებათა ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც დამფუძნებელ კრების არჩევნების პროცესი უნდა აწარმოვონ. საარჩევნო პროცედურისათვის საბჭომ საჭიროდ სცნო სამ გვარი საარჩევნო კომისია: სარაიონო, სამაზრო და საოლქოსი. ამას გარდა საჭიროდ სცნო კიდევ ერთი კომისია—სრულიად რუსეთისა, ცენტრალი საარჩევნო კომისია. ამას დაევალება არჩევნების საერთო ხელმძღვანელობა და საერთო საშუალებათა შემუშავება საარჩევნო საქმისათვის. რაიონის კომისიებმა ხმები უნდა ჩაიბარონ და პირველი დათვლაც მათი საქმე იქნება. საგუბერნიო, ანუ საოლქო კომისია კი მაზრებიდან მიღებულ ხმების რაოდენობას შეაჯამებს, მანდატებს გაანაწილებს და არჩევნების საბოლოო რეზულტატებს გამოაცხადებს.

კენჭი უყარეს ლიპეროვსკის შესწორებას, რომელიც მოითხოვდა, რომ რუსეთის საერთო საარჩევნო კომისიაში იყვნენ აგრეთვე იმ დაწესებულებათა თავმჯდომარეები, რომლებიც ჯარსა და ფლოტში არჩევნებს ხელმძღვანელობენ. ეს შესწორება მიღებულ იქნა. დასასრულ უცვლელად იქნა მიღებული პროექტი დამფუძნებელ კრებისთვის არჩევნების ხელმძღვანელ დაწესებულებათა ორგანიზაციების შესახებ.

სამღვდელოება და დამფუძნებელი კრება

პეტროგრადი. თიბათვის 16. მოხდა სამღვდელოების კრება წინასწარი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებისა. დაადგინეს საეკლესიო კრება 1917 წ. მარიამობისთვის 15 მოიწვიონ, ხოლო სამღვდელოებას დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღება რომ შეეძლოს კრება ენკენისთვის პირველში შესწყდება.

ფრონტების წარმომადგენელთა მოწვევა

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოების თხოვნით საგანგებო საბჭოში რომელთაც უნდა შეიმუშაოს წესი დამფუძნებელ კრების არჩევნებისა, ფრონტის წარმომადგენლებიც იქმნენ მოწვეულნი. ჩრდილოეთის ფრონტიდან—გერჩიკოვი, დასავლეთის ფრონტიდან—ლამბაროვი, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან—ალექსინსკი, რუმინეთის ფრონტიდან—გოროდიჩევი, ამიერ-კავკასიის ფრონტიდან—სოკოლცევი და ელიავა, ქართველთა წარმომადგენლების ნაცვლად—გეგეჭკორი.

რუსეთი და უცხოეთი

პოლონეთის რეგენტის საბჭო.

სტოკჰოლმი. თიბათვის 13. „ფოსსიშე ცეიტუნგ“-ს ვარშავიდან ატყობინებენ, პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა რეგენტის საბჭოს დაარსებაზე იმსჯელა. ეს საბჭო მეფის ტახტზე ასვლამდის იარსებებს.

გაქცეული ტყვეები

კოპენჰაგენი. თიბათვის 13. კუნძულ ჰელჰოლანდზე, კუნძულ ფემერნიდან სამი რუსი გამოქცეული ტყვე მოვიდა. ზღვაზე ერთ დიდ გეჯით უცურნიათ.

სერბეთის სამინისტროს გადადგომა

კორფუ. თიბათვის 11. (დაგვიანებულია). სერბეთის „პრეს-ბიურო“ იტყობინება, რომ სერბეთის კაბინეტი გადადგა. მეფის ბრძანებით ახალი კაბინეტი შესდგა. პაშიჩი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა, შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ყოფილი სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი იოვანოვიჩი, იუსტიციის მინისტრად დჟურიჩი, საზოგადოებრივი შრომის და სწავლა-განათლების მინისტრად ნინჩიჩი, სამხედრო მინისტრად გენერალი ტერზიჩი.

თანხის გადადება სასწავლებლის გახსნის შესახებ.

პეტროგრადი. თიბათვის 14. (დაგვიანებულია) სწავლა განათლების მინისტრმა დროებით მთავრობას სთხოვა, რათა გადადებულ იქნას სასწავლებლების გასახსნელად 4515714 მანეთი აქედან 1090600 მანეთი უნდა მოხმარდეს 100 ოთხ კლასიან გიმნაზიების რეალ სასწავლებლების გახსნას. 2582450 მანეთი მოხმარდება უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლების გახსნას, 220000 მანეთი—ხუთი სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნას და 1518764—25 სამასწავლებლო სემინარიების გახსნას. დროებითმა მთავრობამ თანხის გადადება საჭიროდ სცნო.

ფინეთის სეიმში

ჰელსინგფორსი. თიბათვის 16. ფინეთის სენატის უფლებათა გაფართოების პროექტს სეიმი ხელ-ახლა განიხილავს. პროექტი საგრძნობლად შეცვლილია. სეიმის დაწყება-დათხოვნის შესახებ დებულება გამოტოვებულია. ეს უფლება დროებით მთავრობამ შეინარჩუნა. მთავრობის მოხელეთა დანიშვნის წესიც შეცვლილია. იმ შემთხვევაში, თუ სეიმი სენატს ნდობას აღარ გამოუცხადებს—ამ უკანასკნელმა მოქმედებას თავი უნდა დაანებოს. სენატის სამეურნეო დეპარტამენტის წევრები, სენატის ნდობით, გენერალ გუბერნატორებად უნდა ინიშნებოდნენ.

ვენიზელოსის მომხრეები და თანამშრომლები

პარიზი. თიბათვის 15. იუწყებიან, რომ ვენიზელოსის თანამშრომლები ჩამოვიდნენ ათინაში, სასახლეში მივიდნენ და ფიცი დასდეს.

სოლუნი. თიბათვის 14. კუნძული სიროსი ვენიზელოსის მთავრობას მიეკედლა. მიღებულ რეზოლიუციით სიროსელები მეტად ჰკიცხავენ ყოფილ მეფის პოლიტიკას.

რუსეთის დესპანი

მადრიდი. თიბათვის 16. დესპანი ნეკლიუდოვი ჩამოვიდა.

უკანასკნელი დეპეშები

ორი დღის საარტილერიო მზადების შემდეგ თიბათვის 18-ს დილის 10 საათზე სოფ. კონიუხ ცენიუვკას ფრონტზე მე-6 ე კორპუსის ჯარმა იერიში მიიტანა მტრის პოზიციებზე. ცხარე ბრძოლის შემდგომ რუსის ჯარმა ხელთ იგდო სამი რიგი გამაგრებულ თხრილებისა და სოფ. კონიუხი. ბატარეების ერთი ნაწილი ახალ პოზიციებზედ გადავიდნენ. არტილერიის მარჯვე მოქმედების გამო ჩვენმა ქვეითა ჯარმა მცირე დანაკლისი ნახა. ორი დღის მზადების შემდეგ დაახლოვებით დილის 10 საათზე ჩვენი რამდენიმე კორპუსი ბრეჟანის სამხრეთ აღმოსავლეთის რაიონში შეტევაზე გადავიდა და მტრის თხრილების პირველი და ზოგან მეორე და მესამე რიგიც დაიჭირა.

ქრონიკა

კავკასია

◆ **ახალი განკარგულება მთავრობისა.** ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებამ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო პეტროგრადიდან: კერენსკის განკარგულება შესახებ იმისა, რომ სამხედრო მასალების დასამზადებელ ქარხნებში მომუშავე ჯარის კაცები ეხლავე გასულიყვნენ მოქმედ ჯარში, დროებითი მთავრობის მიერ შეჩერებულია; ეს განკარგულება იმ დაწესებულებასაც ეხება, რომლებიც ომის საქმეებს ემსახურებიან. ასეთი განკარგულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ დროებითი მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, სახელმწიფოს დაწესებულებათა შორის მოათავსოს ქალაქთა და ერობათა კავშირები, წითელ ჯვრის საზოგადოება და სხვა ამ გვარი ორგანიზაციები.

◆ **ამიერ კავკასიის მევენახე-მეღვინეთა საბჭო.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაამტკიცა და სცნო კავკასიის დაწესებულებად სათათბირო ფუნქციებით საგანგებო კომიტეტთან. საბჭო უკვე შეუდგა ამიერ-კავკასიის სავენახე რაიონებში მევენახე-მეღვინეთა კავშირების მოწყობის პროექტის შემუშავებას. საბჭოს გადაწყვეტილი აქვს, რომ მოკლე ხანში გამართოს თათბირი სასურსათო საქმეების მთავარ-რწმუნებულის ბ-ა ბიჩის თანდასწრებით. თათბირზე გადაწყდება საკითხი შესახებ იმისა, რომ ღვინოები იყიდოს ბიჩმა მხედრობისათვის საბჭოს საშუალებით. აზრად აქვთ ჯერ-ჯერობით გაახლონ თბილისის, ბაქოსი და სხვა ცენტრების ღვინოები.

თბილისი.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.** თიბათვის 18-ს სხდომა ჰქონდა კომიტეტს და დიდხანს ითათბირა წყლის სიმცირის შესახებ თბილისში. არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა გამონახოს საშუალება, რომ წყალი საკმარისი იყოს თბილისში და კარგი ღირსების. კომისიის წევრებად არჩეული არიან მაისურაძე, სამუილოვი და მაკაროვი.

◆ **სურსათი.** თიბათვის 18 ს ქალაქის სასურსათო კომიტეტის სახელობაზე მოვიდა 12 ვაგ. ფქვილი და 6 ვაგ. ხორბალი.

◆ **საყოველთაო აღწერა** თბილისში დაიწყება ამ კვირის ბოლოს და სამ დღეს გასტანს.

◆ **წყლის განაწილება.** თბილისის ქალაქის მმართველობა ამით აუწყებს, თბილისის მცხოვრებლებს, რომ თიბათვის 19-დან ქალაქის უბნები შემდეგნაირად იქნება დაკმაყოფილებული წყლით: 4 საათიდან დილის 9 საათამდე და შუადღის 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე წყალი იქნება მტკვრის მარცხენა ნაპირის მცხოვრებლებს—გარდა რიყისა. დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან ღამის 11 საათამდე წყალი იქნება მტკვრის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებლებს და რიყის რაიონს.

◆ **ხორცს გაძვირება მოელის.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა გაადიდოს ქალაქის სასაკლაოზე საქონლის დაკვლის ტარიფი. გამგეობა თავისს გადაწყვეტილებას ასე ასაბუთებს, ვითომც მას აზრად ჰქონდეს საქონლის დაკვლის შემცირება, რათა საქონელი სავსებით არ გამოილიოს.

◆ **ა. მ. არღუთინსკი,** ქალაქის გამგეობის წევრი, ერთი თვით დასასვენებლად წავიდა. მისი განყოფილების საქმეების შესრულება დაეკისრათ გამგეობის დანარჩენ წევრებს: გ. ჟურული გაუძღვება ტრამვაის საქმეებს, ხოლო ა. ხატისოვი წყლისას.

◆ **ფურნის გადიდება.** როგორც ქალაქის გამგეობა ირწმუნება, ქალაქის მთავარი ფურნის გადიდება თიბათვის ბოლომდე დამთავრდება, ფურნე ისე გადიდდება, რომ იქ დღეში 2000 ფუთი პურის გამოცხობა იქნება შესაძლებელი.

◆ **საკოოპერაციო კრება.** თიბათვის 18-ს თბილისის კოოპერატივის წევრებმა განიხილეს და დაამტკიცეს 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, სადაც შემოსავალ-გასავალი 75.000 მანეთია ნაანგარიშევი.

◆ **ხელსაქმო სკოლა** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისა დაამთავრა წელს შვიდმა ქალმა: ვ. ბელკოვამ (სტავროპოლში გახსნა თავისი სახელოსნო), მ. ბეთლემაძემ (მასწავლებლად არის იწვეული გორში ქ ნ თარხნიშვილის სკოლაში), ა. გელაძემ, მ. ზაალიშვილმა, ო. ირემაშვილმა, ქ. კარბელაშვილმა და მ. რცხილაძემ. მარიამობისთვის 25-დან სკოლაში დაიწყება შეგირდების მიღება. ეს პირველი წელიწადია.

◆ **სალდათების კლუბი.** თიბათვის 19-ს თბილისში, მე-218-ე პოლკის ბანაკში გაიხსნა თავისუფალი სარევოლუციო კლუბი სალდათებისა. ასეთი კლუბი ჯერ პირველია ჩვენში, კლუბის გახსნას, სხვათა შორის, ქალაქის მოურავი ა. ხატისოვიც დაესწრო და სიტყვა წარმოსთქვა. ქალაქის გამგეობამ ამ კლუბის სასარგებლოდ 500 მან. გადასდო.

◆ **ავლაბრის მთავარანგელოზის ეკლესიის გარშემო.** კვირას, თიბათვის 18-ს საღამოთი დეკ. დავით იაშვილთან მივიდა დეპუტაცია შვიდი კაცისგან და ავლაბრის წმინდა მარინეს და მთავარ ანგელოზის ქართველ მრევლთა შემართებული კრების დადგენილების თანახმად მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა იმ ინციდენტების და უსიამოვნების გამო რომლებიც მას ამ ბოლო დროს თავს გადახდა. ამ დღეს დილით მთავარ ანგელოზის ეკლესიაში მწირველი იყო ახლად დანიშნული რუსის მღვდელი; ქართველ მრევლის თხოვნით დეკ. იაშვილიც სამწირველოთ შეიმოსა, რომ რუსის მღვდელთან ერთად ეწირნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ნება არ დართო.

წირვის შემდეგ რამდენიმე ქართველმა რუს მღვდელს კერძო მღვდელმსახურების შესრულება სთხოვა, მაგრამ მან თარჯიმანის საშუალებით უარი განუცხადა ქართულად მსახურობის უცოდინარობისა გამო. დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა წირვის გათავების შემდეგ ქართველ და რუს მრევლთა შორის იმის შესახებ, ვის უნდა ჩაბარებოდა ეკლესიის გასაღები. მოწვეულ იქმნა ადგილობრივი კომისარი, რომელმაც ორივე მხრის თანხმობით საყდრის გასაღები ნეიტრალ პირს გადასცა. ვიდრე საყდრის საკითხი გადაწყდებოდეს, საყდარი დაკეტილი იქნება.

◆ **ანდრია ლუდაძემ,** რომელიც აგერ სამი თვეა დატუსაღებულია, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეს: ტელეგრაფით თქვენდამი შუამდგომლობა აღვძარ თიბათვის 1-ს და გთხოვდით ყურადღება მოგექციათ ჩემი უმწეო მდგომარეობისათვის, მაგრამ რაკი აქამდის პასუხი არა მოვიდა, ხელ-მეორედ გთხოვთ შემატყობინოთ: ის ბრალდება, რაც ჩემს წინააღმდეგ არის წამოყენებული, ექვემდებარება თუ არა სახელმწიფოს საერთო კანონებს, თუ ამ საქმისათვის [illegible] სიისათვის ცალკე სამართალი შექმნილი. თუ ასეა, მაცნობეთ ვის კომპეტენციას უნდა მივმართო, რომ ჩემს მდგომარეობას და საქმის გამოურკვევლობას ბოლო მოეღოს და სწორი ცნობები მივიღო იმის შესახებ თუ როდის და როგორ გაიავდება ეს საქმე, რადგანაც აგერ სამი თვე გადის და აქამდის არ ვიცი როდის დაიწყება ჩემი საქმის ძიება, ან არა და იქნება საერთოთ ეს ძიება თუ არა.

◆ **საგეოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, თიბათვის 20-ს, რეალურ სასწავლებელში საგეოგრაფიო საზოგადოების წევრი ი. მ. ზდანევიჩი წაიკითხავს მოხსენებას: „ადაი-ხოხის მთის (უღელტეხილი) გადაუწყვეტელი საკითხები“. დასწრება ყველას შეუძლიან.

◆ **ხოლერის მოლოდინი.** თბილისში გახშირდა კუჭსა და ნაწლავების მოშლა. ეს ავადმყოფობა მუდამ წინამორბედია ხოლერისა. გასყიდულ სანოვაგის სიავკარგეს თვალყურს სრულებით აღარავინ ადევნებს. სანიტარების ხსენება აღარ არის თბილისში. გარდა ამისა ღვინის აკრძალვის გამო ქალაქში გავრცელდა ათასნაირი საეჭვო ღირსების სასმელები. წყალსადენის წყალი ხომ სანახევროდ არ აკმაყოფილებს მცხოვრებლებს და ვინც რას წააწყდება, იმას სვამს. ყოველივე ეს დიდად ხელს უწყობს კუჭის მოშლას და ხოლერის გაჩენას. მცხოვრებლები თითონვე უნდა ეცადონ სანიტარო წესების დაცვას, თორემ დიდი უბედურება აუცილებელია.

◆ **შეწირულება.** ალ. ჯაბადარმა შესწირა წ. კ. საზოგადოებას 600 მ.; ბ-ნმა ადელხანოვმა იმავე საზ. სასარგებლოდ სეირნობის გამმართველ კომიტეტს გამოუგზავნა 200 მანეთი.

◆ **ახალი სომხური გაზეთი.** გამოვიდა სომხური გაზეთი „აზ ტკარ“-ი (მომუშავე). გაზეთს სათავეში „დაშნაკცუტუნება“-ს პარტია უდგას.

ქუთაისი

◆ **უწესოება.** თიბათვის 13-ს, საღამოს რვა საათზე ქუთაისში ასეთი უწესოება მოხდა: ბალის ქუჩაზე ტრაქტირში რამოდენიმე ჯარის კაცებს თავი მოეყარათ და ბანქოს თამაშობდნენ. თამაშობის დროს ჯარის კაცები ერთმანეთს წაელაპარაკნენ, რასაც, ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა და ბოლოს დანების ტრიალიც გაჩაღდა. წესიერების აღსადგენად ჩაერივნენ მილიციონერები. ჯარის კაცებმა ეს იუკადრისეს, თავი ანებეს ურთიერთ შორის ჩხუბს და ყველანი მილიციონერებს დაესხნენ: ახადეს თოფები, რევოლვერები და ცემით წამოიყვანეს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოსაკენ. გზაში მათ უერთდებოდნენ სხვა ჯარის კაცები და ვინც შეხვდებოდათ მილიციონერთაგანი, ყველას იარაღს ხდიდნენ და აპატიმრებდნენ. ეს ერთი წყება მაჩხუბრებისა მოიყვანეს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დარბაზში საქმის გამოსარკვევათ, რომ მეორე ადგილს ახალი ჯგუფი ჯარის კაცებისა შესდგომოდნენ მილიციონერების დაპატიმრებას. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა მეორე ჯგუფის ეს მოქმედება, რომ მათ წინ არ შეხვედროდათ ა. ჯაფარიძე და სხვ., რომელთა რჩევა დარიგებამ მათზე გასჭრა და ყველანი მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დარბაზში მოიყვანეს. დარბაზში ჯარის კაცების ტევა არ იყო და შენობის წინ ქუჩაზეც ჯარით აივსო. ტრიბუნაზე ავიდა გრ. გიორგაძე და მგრძნობიარე სიტყვით მიმართავს ჯარის კაცებს და მოუწოდებს მათ წესრიგი დაიცვან და დაიშალონ საქმის გამოძიებას კი თვით მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო შეუდგა. ლაპარაკობენ სხვებიც. მეორე ტრიბუნა გარეთ იყო გამართული, სადაც ასეთივე შინაარსის სიტყვებით მიმართავდნენ მათ ორატორები. ჯარის კაცებმა ანართმევი თოფები დასტოვეს და დაიშალნენ. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო შეუდგა საქმის გამოძიებას. ქალაქის დაცვა მე-110 და 115 პოლკის ჯარის კაცებმა იდვეს თავზე.

პ. საყვარელიძის აზრი ეროვნულ საკითხზე

ამიერ-კავკასიის რ. ს. დ. მ, პ. ორგანიზაციათა დელეგატების კრებაზე ამ თვის 14 სხდომაზე პ. საყვარელიძემ, სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის „ალიონის“ რედაქტორმა ლ. ნათაძის და სხვათა საპასუხოდ ასეთი სიტყვა სთქვა.

ამხ. ლ. ნათაძე,—გვიწუნებს ტერიტორიალურ პრინციპს, თვითონ კი დებულობს მას პატარა ეროვნულებისათვის. ჩვენ კრიტიკულმა აზროვნებამ და პირობების შეცვლამ მიგვიყვანა ნაციონალურ საკითხის ასეთ გადაჭრამდე. მე მოვითხოვ ტერიტორიალურ პრინციპის ფართო სივრცეზე გამოყენებას იმიტომ, რომ მაშინ კლასთა ბრძოლა უფრო გაადვილდება და მეორეც ის, რომ რუსეთის მთავრობა შემდეგშიაც ბურჟუაზიული იქნება და მას ვერ დავენდობით. თუ ყველა მიწებს არ ვაძლევთ ცენტრს, რატომ უნდა გადავცეთ მას ყველა ეროვნული საქმეები? რაც შეიძლება მეტი უფლება უნდა წამოვიღოთ ცენტრიდან. დღეს კ. კაუცკის თქმით, პროლეტარიატი იცავს ეროვნებას და არა ბურჟუაზია. საბოლოოდ ნაციონალური საკითხი რა თქმა უნდა, სოციალიზმის დროს გადაწყდება, როცა სავსებით მოისპობა კლასიური და ეროვნული უპირატესობანი, მაგრამ პროლეტარიატი დღესაც დაინტერესებულია მის რადიკალურ გადაჭრაში. რევოლუციის გამარჯვება საერთო პირობაა ნაციონალურ საკითხის გადასაჭრელათ. ჩვენ მოვითხოვთ დეცენტრალისტურ რესპუბლიკას. კავკასია უნდა იყოს ერთგვარ და შერეულ ტერიტორიალურ ავტონომიებით. იქნება შერეული და შეურეველი კანტონები, როგორც არის მოწყობილი მაგ. შვეიცარია, სადაც ორ სამ ენოვან კანტონებსაც კი შეხვდებით. ტერიტორიალურ ერებს უნდა მიეცეს ტერიტორიალური ავტონომია, ვისაც იგი არ გააჩნია—კულტურული ავტონომია უნდა მიეცეს. ამ ავტონომიათა კავშირი და დამოკიდებულება ცენტრთან უნდა იყოს პირდაპირი, არ არის საჭირო კავკასიის ავტონომია, საერთო კითხვის გადასაჭრელათ დაარსდება ინტერპარლამენტარული საბჭო. ადგილობრივ კანონების გამოსაცემათ უნდა დაარსდეს პარლამენტი, უნდა მიეცეს მას კანონმდებლობის უფლება. ცენტრის კომპეტენცია: საერთაშორისო პოლიტიკა, ომი და ზავი, ჯარი ფლოტი, ფული, დამოჟნა, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, მუშათა კანონმდებლობის საზოგადო ნაწილი; ცენტრი უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ წვრილ ერთა უფლება ხელშეუხებელი იქნება, არ უნდა შეეძლოს ავტონომიური ტერიტორიის მოკვეცა ცენტრის ბურჟუაზიას. ავტონომიას უნდა ჰქონდეს სუვერენული (შეზღუდული საერთო კანონებით) უფლება. ხელშეუხებელი უნდა იქნეს მოქალაქის უფლებაც. ავტონომიური წყობილება დემოკრატიული უნდა იქნეს იმ პირობით, რომ მისი დადგენილებები არ იქნება წინააღმდეგი საერთო დადგენილებისა.

ადგილობრივ მმართველობის კომპეტენცია: კულტი, სარწმუნოების საკითხი, იუსტიცია, ყველა კულტურული კითხვები (ამ სფეროში იგი კანონმდებელი უნდა იყოს), ადგილობრივი გადასახადები, ხაზინა, საერობო და საქალაქო თვითმართველობის მოწყობა, წესრიგის დაცვა (ადმინისტრაცია), ჰიგიენა, სანიტარია, წყლისა და ტერიტორიის ექსპლოატაცია, სასოფლო მეურნეობა, ადგილობრივი ვაჭრობა-მრეწველობისათვის ხელის შეწყობა, მიმოსვლა, რკინის გზა, კოლონიზაცია, მიწათმოქმედება და მიწათმფლობელობა, ნაწილი სამოქალაქო,

---

აქეთ ფირსოვის და ხმა სმერდიაკოვის, აქედან თუ რაიმე არის აშკარა, მხოლოდ ის, რომ რუსეთის დემოკრატია ვერ ეტევა „დოგმატიურ კორსეტში“, როგორც დაარქვა მარქსიზმს დომელა ნიუვენგუისმა... ამ „დოგმატიურ კორსეტის“ სივიწროვეზე არის წიგნი ანდრეი ბელის „პეტერბურგი“. ანდრეი ბელი მორიგი სამუხრო მსხვერპლია რუსეთზე ნაღვლი ფიქრის, და ასე წყვეტად არავის განუცდია ტრაგიზმი რუსეთის.

4

ანდრეი ბელიმ გვიან ნახა თავისი სახე. შესაძლებელია არც ეხლა ენახოს, იმიტომ რომ ეს ნახვა დაკარგავს უდროს იმდენად, რამდენადაც სიგიჟეში მხილდება. ინოკენტი ანენკიმ სთქვა ბელიზე:

— ღმერთო, როდის ფიქრობს ეს ყმაწვილი, ამდენს რომ სწერსო. ინოკენტი ანენსკი შორს არი იმიდან რომ გაბედოს ვინმემ პედანტის დაძახება. მხოლოდ ამგვარი გაგება ანდრეი ბელის იმის ბრალია, რომ მისი ბუნება სრული წინააღმდეგია ანდრეი ბელის ბუნების. ი, ანენსკი მაქსიმალური ნახატი ეკონომიით ააშკარავებდა ნაფიქრს და ნააზრევს. ანდრეი ბელის წერილობა თავიდანვე აღნიშნული იყო წინააღმდეგობებით. თუ იყო სწორი ანდრეი ბელი, მხოლოდ იმაში, რომ ყოველთვის „წვოდა“, იფერფლებოდა. მისი წიგნები „სიმფონიების“ და შემდეგ „ფერფლი“ ეს დაფერფლა თავის თავის და თავის თავში რუსეთის; ამას განაგრძობდა კრიტიკულ წერილებში და ეს ძლევა დაამთავრა კიდეც თავის უკანასკნელ რომანში „პეტერბურგი“... ეს რომანი აღნიშნავს პერიოდს რუსულ რომანში, როგორც ტოლსტოის „ომი და ზავი“ ანდა თ. დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“. გასაგებია რუსული კრიტიკის მტკიცება, რომ ეს რომანი ესტეტიურ კათეგორიათა მიმდინარეობის გარეშე სდგას, რომ ის არის რაღაც თავისებური და ერთად ერთი.

რუსეთი მისტიკოსებით სდუღს, მისტიკობენ პროფესორებიც კომერციული ინსტიტუტიდან, ამ მისტიკოსებში ბევრი ურევია Jocrisse à Pathenios: „ივანუშკა დურაჩოკი“ პოტმოსის ჰალიდან, ცნობილია ვიზეც სთქვა ეს ველომ და ამიტომ ეს წიგნი განსაკუთრებით ფასს ღებულობს, ამ წიგნში არის განცხადება და ისეთი ენით, რომელიც უარყოფს ყოველივე დაეჭვებას გულწრფელობაში, რაიმანში წამოყენებულია ძველი პრობლემა რუსეთის სული ყველაზე უფრო შეირყა, რომ გამოიჩინა დაფარული ძირები ნაციონალ ბუნების, 1905 წელს რუსეთის რევოლუცია. ამ პრობლემას ანდრეი ბელი თავისებურად სჭრის, ეს წიგნია დიდი რისხვის და დიდი იმედის. ვაჩესლავ ივანოვმა, რომელიც დასტატებულია ანტიური ქვეყნის ანალოგიებში თავის წერილში ამ რომანზე ანდრეი ბელის მოუნახა ზეშთაგონება საწინდრების.

— „თქვენო აღმატებულებავ, მაღალკეთილშობილებავ, კეთილშობილებავ, მოქალაქენო!..

. . . .

რა არის რუსეთის იმპერია ჩვენი?

რუსეთის იმპერია ჩვენი არის გეოგრაფიული ერთიანობა: რაიც ნიშნავს ნაწილს ცნობილ პლანეტისას... და რუსეთის იმპერია შეიცავს დიდს, მცირეს, თეთრს და შავ რუსეთსა; მეორეთ: საქართველოს, ყაზანის და ასტრახანის სამეფოებს; მესამეთ ის შეიცავს... მაგრამ—სხვათა, სხვათა და სხვათა...

რუსეთის იმპერია ჩვენი შედგება მრავალ ქალაქებისაგან: სატახტო, საგუბერნიო, სამაზრო და შტატ გარეშე და შემდეგ: პირველ სატახტო და რუსეთის ქალაქების დედისაგან.

პირველი სატახტო—არის მოსკოვი: ქალაქთა დედა—კიევი.

პეტერბურგი, ან სანკ-პეტერბურგი ან პიტერი (რაც სულ ერთია) უსათუოდ ეკუთვნის რუსეთის იმპერიას. ცარგრადი, კონსტანტინოგრადი (ან როგორც ამბობენ კონსტანტინოპოლი) ეკუთვნის მემკვიდრეობის უფლებით. მაგრამ ამაზე არ გავაგრძელებთ.

პეტერბურგი კარტაზე აღინიშნება ორი ერთმანეთზე მჯდარი წრეებით, შავი წერტილით ცენტრში. იმას აქვს მხოლოდ მოჩვენებითი ყოფნა, ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ იგი არსებობს“.

ეს არი პროლოგი, და შემდეგ იწყება მწუხარე ამბავი პეტერბურგის და და რუსეთის ეფემერობაზე...

ტ. ტაბიძე.

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლისა და სოციალური კანონმდებლობისა, რამდენადაც ეს საჭიროა კულტურული თვალსაზრისით; ცენტრში გამოცემულ კანონების განხორციელება, ინიციატივის უფლება. წყობილება უნდა იქნეს დემოკრატიულ-რესპუბლიკანური რეფერენდუმისა და ინიციატივის უფლებით, უმცირესობას უნდა მიეცეს გარანტია და კულტურული ავტონომია.

(„ერთობა“).

რა სჭირია საქართველოს ეკლესიას?

წერილი მეოთხე

ამას წინედ დაიბეჭდა და დაურიგდა საქართველოს სამღვდელოებას სრულიად საქართველოს საკათალიკოზოს ეკლესიის დროებით მმართველობის ინსტრუქცია განყოფილებათა, სამრევლო და საოლქო საბჭოების შესახებ. ეს ინსტრუქცია ნაჩქარევათაა შედგენილი და დროებით იქნება ხმარებაში. სამუშავარი ბევრია და ჯერჯერობით ცოტაა ნაკეთები. საზოგადო საქმეში, რომელიც ძირიან ფესვიანად უნდა გადაკეთდეს, გადაახალშენდეს და სხვა უკეთესს, მტკიცე საფუძველზე უნდა დამყარდეს, ყველას ჰმართებს გულმხურვალეობა და ყველამ ასე თუ ისე ხელი უნდა შეუწყოს საქმის წარმატებას, თორემ მარტო კომიტეტები უძლური იქნებიან ასეთს დროს. ჩვენ ვგულისხმობთ არჩევნების მოწყობას ოლქებში და სამრევლოებში. არჩევნები როგორც სხვა სფერებში, ისე საეკლესიოში—ხდება ოთხ სისტემიანი, ე. ი. ფარული, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი. ეს სისტემა ისეთი პირუთვნელი და სამართლიანია, რომ თუ იგი ამ ნიადაგზე აგებული მოხდა, უსათუოდ შედეგი კარგი და სასურველი მოჰყვება.

მაგრამ... მაგარი ის გახლავსთ, რომ ჩვენ თითონ არა ვართ ამისათვის ჯერ კიდევ მომზადებულნი და ბევრი რამეც გვაკლია. თვით ბუნება ადამიანისა უნდა გაღრმავდეს, იცვალოს ფერი მიმართულება, საგანი, ხასიათი, თორემ განახლება, მონათვლა ნაყოფს ვერ გამოიღებს. საბჭოების არჩევნების დროს საყურადღებოა ის გარემოება, რომ აქაც ძველებური, ჩვენებური აგიტაცია იჩენს თავს და საბჭოებში გადიან არა სასარგებლო და სასურველი პირები. ზოგიერთი „კეთილ-მოწესენი“, რომელთაც ძვალ-რბილში გასჯდომიათ თვითპყრობელობა, მექრთამეობა, მელაკუდობა ყოველ ღონეს ხმარობენ როგორმე შევიდნენ საბჭოში და თავში წამოსკუპდენ. ასეთის აგიტაციისათვის იგინი დიდათ თავდადებულნი და მოწადინებულნი არიან და არაფერს ზოგავენ თუ კი თავის მისიას შეასრულებენ. საზოგადოდ მიღებულია ყველგან, რომ ეს ძველის რეჟიმის მავნე პირები დაიცვალონ, თუნდა კარგი მიმართულებისაც რომ იყვნენ, და მათ მაგიერ დაინიშნოს უზაკველნი, ჯერ კიდევ მოუშხამელნი, რომელთაც შეუძლიანთ საქმის გაძღოლა. ბარაქალა იმ „ბლაღოჩინებს“, რომლებიც თავის სურვილით უცხადებენ მღვდლებს: ჩვენ ავად იყო თუ კარგად ვიმსახურეთ, ეხლა სჯობია წავიდეთ, გავშორდეთ მართვა-გამგეობას და ჩვენს მაგიერ სხვები გამოსადეგნი აირჩიოთ! ზიზღი იმ „ბლაღოჩინებს“, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ „დაიმსახურეს სახელი“ სამღვდელოების შორის თავის მექრთამეობით, გაიძვერობით და სხვა „ითებით“ და დღეს კიდევ სცდილობენ არ გასცილდნენ თავისს პოზიციას, მაგრად ებღაუჭებიან მას და არ უშვებენ ხელ!!

დრო და საქმის სიყვარული მოითხოვს დაირაზმონ შეგნებული საეკლესიო ღვთის მსახურნი და, როგორც სხვაგან, ისე ამ შემთხვევაში გამოიჩინონ მოქალაქობრივი გამბედაობა, გულის სიწრფელე, სიდინჯე, მიუდგომლობა და არჩევნები მოახდინონ რიგიანი და წესიერი, თორემ ჩვენივე ხელით გამოვიჭრით ჩვენს ყელს და სამარცხვინო ბოძზე გავეკვრით.

კ. გძელი.

ქართველ მხედრობის ხმა
ჩრდილოეთის ფრონტიდან

წრევანდელი აპრილის 26 არასდროს დამავიწყდება. ამ დღეს იყო რომ სამშობლოს მოწყვეტილნი შვილნი, რუსეთის ორ დივიზიაში მყოფნი ქართველნი მხედარნი, პირველად შეიკრიბნენ თავისუფალ სიტყვის სათქმელად. ვინ იცის იქნებ ამ სტრიქონების დამწერს გული სხვანაირადაც უცემდა და ჰფეთქავდა, ვაი თუ აქაც ის უთანხმოება აღმოჩნდეს ჩვენ ჩვენ შორის, როგორიც საქართველოში არსებობს სხვა და სხვა მიმართულების პარტიების წევრთა შორის...

საბედნიეროდ შიში უადგილო აღმოჩნდა. ამ კრებაზე კაცი ვერ იტყოდა ის სოც.-ფედერალისტია, ის ნაც.-დემოკრატი, ის სოც.-დემოკრატი, ან ის უბრალო ჯარისკაცია, მეორე ოფიცერია, მესამე სამხედრო ექიმიაო. არა, აქ ყველანი თანასწორ უფლებიან საქართველოს თავისუფალ მოქალაქედ სთვლიდნენ თავს და ისეთი ბუნებრივი კეთილი განწყობილება სუფევდა ყველას შორის, რომ ადამიანი ადვილად ამოიკითხავდა ყველას გამხიარულებულ სახეზე, რომ მათ შორის რაღაც საერთო ნათესაური კავშირია უხილავი ძაფით გადაბმული, რომელიც ერთნაირად ხან ამხიარულებს და ხან აღონებს მათ.

პირადად მე, უზენაეს აღფრთოვანებას განვიცდიდი. ერთი შეხედვით თითქოს სულ უბრალო, რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ, როდესაც ვუცქეროდი ჩვენს გლეხს, რუსულ ფარაჯაში გახვეულს, რომელიც ისე მსჯელობდა კრებაზე, თითქოს საქართველოს პარლამენტში სამი წელიწადი მაინც ყოფილიყოს დეპუტატად, ცხადია უსაზღვრო სიამოვნებას გამოიწვევდა ეს მოვლენა ჩემში.

მაისის 13 ხელ-ახლად შევიკრიბენით. ამ დღესა, დარბაისლური, დინჯი, დაკვირვებული მსჯელობა ახასიათებდა ჩვენს თანამემამულე ჯარისკაცს. ამაყ საქართველოს ამაყ შვილთ ეტყობოდათ, რომ სული მაღალი მათში ვერ ჩაუკლავს 117 წლის მონობას. დამონებული საქართველოს შვილნი სრულებითაც არ აღმოჩნდნენ სულით მონები და მათ თამამად განაცხადეს: უსამართლობის წინაშე ქედს ვერც გუჩკოვ-მილიუკოვების იმპერიალისტური მისწრაფება მოგვახრევინებსო.

აპრილის 26 და მაისის 13 კრებების ოქმები ცალკე გამოიგზავნა ქართულ პრესისთვის და დღეს თუ ამ წერილს გწერთ, გწერთ ჩვენი ჯარისკაცების ათისთავების და კომიტეტის წევრების დავალებით.—ბატონო ექიმო, ოქმებს გარდა საჭიროა ჩვენს გაზეთებს ცოტა დაწვრილებითი ცნობაც მივაწოდოთ თუ რას ვაკეთებთ აქ და როგორ გვეღობებიან წინ ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდლები და თვით ლიბერალური (სოციალისტურიც კი) რუსული გაზეთები, რომლებიც ჩვენს რეზოლიუციებს არ ბეჭდავენ *), მეუბნებიან ისინი, საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენ მოვიწადინეთ ჩრდილოეთის ფრონტზე მყოფ ქართველ მეომართა დელეგატების ყრილობის მოწვევა. კრებამ აირჩია დელეგაცია (ფერშალი ვასილ ჯორჯაძე, კაპიტანი ივანე შერვაშიძე და ექ. მიხ. იზნელი) ფრონტის მთავარ სარდალ დრაგომიროვთან, რომლისთვისაც უნდა ეთხოვათ დელეგაციას ქართველ მხედართა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევის ნებართვა.

როდესაც დეპუტაცია ფრონტის შტაბში ჩავიდა, აღმოჩნდა რომ გენერალი დრაგომიროვი არ ჩასულიყო და ჯერ ისევ გენ. რუზსკი იყო. უკანასკნელს მოახსენეს რომ ქართველ მეომართა დეპუტაციას სურს თქვენი ნახვაო.

დეპუტაცია წარუდგა გენ. რუზსკის და მოახსენა თუ რისთვისაც ჩავიდა. —დღის წეს რიგში რა გექნებაო? შეგვეკითხა გენერალი. დღის წეს-რიგში დაახლოვებით შემდეგი კითხვები გვაქვს ჯერ-ჯერობით: 1) ჩვენი დამოკიდებულება ომთან და ზავთან. 2) ორგანიზაცია ქართველ მხედართა. 3) როგორ უნდა მიიღოს ქართველმა მხედარმა დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობა? 4) საჭიროა თუ არა ქართულ პოლკების შედგენა? 5) ჩვენი იდეალი—საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია თუ არა? 6) რას გულისხმობს დროებითი მთავრობა ეროვნებათა თვით გამორკვევაში? 7) ჩვენი დამოკიდებულება მეზობელ ერებთან. 8) საქართველოში მომქმედ პარტიების ტაქტიკური შეთანხმების საჭიროება. 9) მიწის საკითხი.

— ოო, რა სერიოზული საკითხები აგიღიათ გადასაჭრელათ გვითხრა გენ. რუზსკიმ.

— არა, ბატონო გენერალო, ჩვენ კი არ გადავჭრით ამ საკითხებს, ჩვენ ვიმსჯელებთ მხოლოდ და საბოლოოდ გადაჭრა დამფუძნებელ კრების საქმეა, მიუგეთ ჩვენ. ამის შემდეგ ცოტა ხანს მიწის საკითხზე გველაპარაკა, შემდეგ ქართველ სომეხთა დამოკიდებულებაზე დაგვიწყო ლაპარაკი და სხვათა შორის სთქვა: ყველამ იცის რომ საქართველოში მკვიდრი მცხოვრებნი ქართველები არიან და სომხები მოსულნიო. ბოლოს გვითხრა რომ ყოველ საათს მოველი გენ. დრაგომიროვს და ყრილობის მოწვევის ნებართვაც იმის საქმეაო, მაგრამ რადგან თქვენ არ შეგიძლიათ აქ მოცდა მე შემიძლიან გადავცე თქვენი თხოვნაო,—გვითხრა ეს და ჩვენი მისამართი ჩაიწერა.

ერთი კვირის შემდეგ გენ. დრაგომიროვისაგან მოგვივიდა ცნობა რომ, „რადგან არმიის დელეგატთა ყრილობა არ გქონიათ ჯერ, ფრონტის დელეგატთა ყრილობას ნაადრევათა ვსცნობო“. ასეთი პასუხი ჩვენ, რასაკვირველია არ გვეპაზნიკა, რადგან აქ „დიპლომატიური“ უარი დავინახეთ, მაგრამ კრებამ ხელ ახლა დაავალა დეპუტაციას (ჯარისკაცი ვასილ ხარებაშვილი, კაპიტანი შერვაშიძე და ექ. ბეს. ოქროპირიძე) წასულიყო ფრონტის შტაბში და განემარტნა რომ გვიანდებოდა საქმე. თუ არმიების დელეგატების ყრილობის მოწვევას დავიწყებთ, დროზე ვეღარ შევკავშირდებით და დამფუძნებელ კრებისთვის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებთო. თუ აღარ დაიშლიდა გენერალი და კვლავ არმიის დელეგატთა ყრილობაზე მიუთითებდა, მაშინ დეპუტაცია არმიის შტაბში წავიდოდა და ითხოვდა ყრილობის ნებართვას.

დეპუტაცია რომ ფრონტის შტაბში წავიდა, იქ შეიტყო რომ დრაგომიროვიც და არმიის სარდალი დანილოვიც მინ. კერენსკისთან იყვნენ წასულნი რიგაში.

შტაბში დელეგაციამ შეიტყო რომ გენ. დრაგომიროვი ძნელად შესცვლის ხოლმე ერთხელ დადებულ თავის რეზოლიუციას. როდესაც დეპუტაცია შეეკითხებია შტაბში: „თუ ყველა არმიის სამხედრო პირთა ყრილობას აძლევენ ნებას ჩვენ რას გვემართლებიანო“ პასუხათ მიიღეთ: „იმათ მოასწრეს და ახლა თვით მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭო წინააღმდეგია ეროვნულ ყრილობებისაო.

მოისმინა რა ორი დივიზიის ქართველ მეომართა კომიტეტმა და ასის თავებმა დეპუტაციის მოხსენება, დაადგინა საერთო კრებას აცნობოს და წინადადება მისცეს გაგზავნოს დეპუტაცია პეტროგრადში კერენსკისა, ჩხეიძესა, წერეთელთან ან უმაღლეს მთავარ სარდალ ბრუსილოვთან.

მ. იზნელი

—

P. S. ვსთხოვთ „ჯარის კაცის“ რედაქციას გადაბეჭდოს ეს წერილი.

მ. ი.

---

*) აპრილის 26 კრებაზე გამოტანილი რეზოლიუციები (მისალმება ლვოვს, კერენსკის, ჩხეიძეს, უკრაინელებს და ჩვენს სამშობლოს) გავგზავნეთ „რეჩ-ში“, „დენში“, „ნოვაია ჟიზნში“, „უტრო როსსიაში“, „რუსკოე სლოვოში“ და „რუსკ. ვედომოსტში“ და არ დაგვიბეჭდა არც ერთმა მათგანმა. მ. ი.

მაჰმადიანთა აწიოკება სოფ. ბეგრიკალში

მაისის 22 სოფელ ბეგრიკალში ოსმალეთში გვესტუმრა სომეხ მსროლელთა კავკასიის მეხუთე რაზმი. მან საზიზღარი საქმე ჩაიდინა. აქაური ქურთები და ოსმალოს თათრები მხეცურად დახოცა. ვერ წარმომიდგენია თუ ეს საზიზღარი მოქმედება შესაძლებელი იყოს მეოცე საუკუნეში, თუ მას ჩაიდენს გრძნობიერი და განვითარებული ადამიანი გარდა მხეცისა. უდანაშაულო ხალხს მუსრი გაავლეს. ქალები და ბავშვები დახოცეს. დედას გამოსტაცეს ხელიდგან ხუთმეტი დღის დაბადებული ბავშვი, ხიშტის წვერზე წამოაცვეს და ისე აწამეს. აი ასე გახდა ასხვერპლი ას ოცდაათი ადამიანი. ამათში მამაკაცთა რიცხვი ძალიან ცოტა იყო. ბ-ნი პოლკოვნიკი ფირუმოვი შორიდგან დასდევდა ამ საზიზღარ მოქმედებას და თან მისი მსახურნი ოფიცრები მხეცურად რაინდობდნენ უპატრონოდ დარჩენილ დედაკაცებზე და ბავშვებზე. მხეცმა ოფიცრებმა პოგონები დაიგლიჯეს და ისე რევოლვერებით მუსრს ავლებდნენ ბალღებს და აი ასეთ საზიზღარ მოქმედების დროს მე ჩემი აზრი ვსთქვი: ამხანაგებო, უდანაშაულო ბავშვებს და დედაკაცებს რისთვის ხოცავთ, რა დანაშაული მიუძღვის უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს-მეთქი. იმათ კი მრისხანებით შემომიყვირეს: შენ ძველი მთავრობის მოხელე ხარ და თათრების დამცველიო. ხომ არ გინდა შენც მათთან გაგასწოროთო და დღესაც მათი მუქარა მესმის. ამ დროს ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი ამხანაგები სალდათები და მათ რიცხვში აქაური გარნიზონის სალდათების დეპუტატებიც და მასთან ბეგრიკალის კომენდანტიც. ამ საზიზღარ მოქმედების დროს დამსწრენი ოცი თუ ოცდახუთი კაცი ვიქნებოდით. რასაკვირველია, ყველა ჩემი მომხრე იყო, მაგრამ შიშისაგან კრინტიც ვერავინ დასძრა, რადგანაც მცირე იყო ჩვენი რიცხვი. ამნაირად გაილაშქრეს უპატრონოდ დარჩენილ დედაკაცებზე და ბავშვებზე. იმ სალამოსვე ბ-ნმა პოლკოვნიკმა ფირუმოვმა აქტი წარმოგვიდგინა, ვითომც იმ დროს იქმნენ დახოცილი მცხოვრებნი, როდესაც მათ სროლა აუტეხეს რაზმს, მაგრამ სოფელში მათი მოწინააღმდეგე არავინ იყო.

ასეთი აქტისთვის ჩვენ უნდა ხელი მოგვეწერა, ამით ბ-ნი ფირუმოვი უნდა გამოსულიყო მართალი. ბ. ფირუმოვის ასეთმა ხერხმა ვერ გასჭრა და დარჩა მისი აქტი ხელ მოუწერელი სალდათებისა და კომენდანტისაგანაც. როდესაც ეს უბედურება მოხდა რამოდენიმე დაჭრილ ბავშვის და დედა-კაცის მოვლა და წამლობა იკისრა ქალბატონმა რეზუტოვსკაიამ. ქ. ბ. რეზუტოვსკაია აქაურ საავათმყოფოს გამგეა და მასთან უბრალო მოსამსახურე სანიტარიც. იშვიათად შეხვდებით ასეთ მშრომელ ადამიანს, დღე და ღამე მოსვენება არა აქვს. მუდამ შაბათს ღამის 12 საათიდან დილის ხუთ საათამდე ავადმყოფებისთვის აღუღებს ჩაის. რადგანაც მას სანიტარები არ ჰყავს ათი კაცის მეტი მთელს საავათმყოფოში. ყოველ მესამე ღამეს მორიგეობა მოუხდება ხოლმე. მადლობის ნაცვლად მხეცებმა კინაღამ წუთისოფელს გამოასალმეს—როგორ გაბედე და დაჭრილ მაჰმადიანებს პატრონობა გაუწიეო. იმ წამსვე მიუცვივდნენ საავადმყოფოში გამოსტაცეს ის დაჭრილი ადამიანები და წაიყვანეს. სიკვდილსაც კი დაემუქრნენ. მეორე დღეს კი თხოვნა დაუწყეს უსირცხვილოდ, კიდევ არის დარჩენილი ბავშვები და დედაკაცებიო, გთხოვთ თქვენ თავზე მიიღოთ მათი პატრონობაო. მაგრამ ქ. ბ. რეზუტოვსკაიამ უარი უთხრა. ნუ თუ არ გრცხვენიათ ეხლა ახოვნით მოდიხართო.

ამ ამბის შესახებ დარბეულებმა ამიერ-კავკასიის კომიტეტს წერილები გაუგზავნეს. ამ წერილების პირი რომანოვსკის, ოსმალეთის დაპყრობილ ადგილების გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნა.

ჯარის-კაცი ი. მიქაძე.

კორესპონდენცია

სოფლის ვითარება.

სოფ. ქსოვრისი (დუშეთის მაზრა). სოფელი ქსოვრისი მიწის მოსავლით ერთ მდიდარ სოფელთაგანად ითვლება დუშეთის მაზრაში; მხოლოდ, რაც შეეხება საკულტურო დაწესებულებებს ამ მხრივ კი ეს, სოფელი ძრიელ ჩამორჩენილია: არ არსებობს არავითარი სკოლა, არც უბრალო სამკითხველო, არც კოოპერატივი და არც სხვა რაიმე საზოგადო დაწესებულება, სადაც აქაურ მცხოვრებლებს შეეძლებოდათ ცოტად თუ ბევრად გონიერულად განვითარება მიეღოთ. სწორედ ამ მხრივ სოფ. ქსოვრისს მთელ მაზრაში უკანასკნელი ადგილი უკავია.

ამ ჟამად, როდესაც ძლიერმა სეტყვამ ყველაფერი გაანადგურა, გაახრა და ხეხილებს ფურცლებიც კი არ შეანარჩუნა, სოფელი ქსოვრისი დიდ უკიდურეს და უნუგეშო მდგომარეობას განიცდის, სოფელს ომის გამო ბევრი მარჩენალი ვაჟკაცი მოაკლდა, რის გამოც სოფლელებმა იმდენი ვერ დაიმუშავეს რამდენიც საჭირო იყო და სეტყვამ ხომ თავზარი დასცა მცხოვრებლებს და მთელი სოფელი ღრმა სავონებელში ჩააგდო...

აქაური მცხოვრები 60 წ. მოხუცი დათიკა კოხმანი ძე საშინელი გულის ტკივილით შემომჩივლა: უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, ნათქვამია—„ვინ მოსთვლის, ომისგან რამდენი ტანჯვა ვაება გვქონდა მოყენებული, მაგრამ ბედმა ეს არ გვაკმარა და მაისის თვეში ვერანა სეტყვამ ჩაგვაწვარა და მთლად ამოგვაზხმო. აგერ 60 წ. მეტისა ვარ და ასეთი სეტყვა ჩემს თვალებს არ უნახავს და არც, თუ სხვას ვინმეს ახსოვს. მთელი დღე და ღამე მუშტის სისხო სისტყვავდა და ისეთი ზარალი მოგვცა, რომ მტრის ენასაც გაუჭირდება თქმა... „დავიღუპენით, დავიქეცით და ეხლა არ ვიცით სად, რომელ წყალში გადავვარდეთ, ვის მივმართოთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონო!!“

დათიკა კოხმანაძის საჩივარი ფრიად დამაფიქრებელი და ყურადსაღებია!

სოფელი დიდ განსაცდელშია—სოფელს უკანასკნელი ლუკმის ნუგეშიც დაეკარგა!

ამიტომ ადგილობრივი ინტელიგენციის აუცილებელი ვალია, ამოირჩიოს სოფელში რამდენიმე შესმენილი კაცი რომლებიც აწუხავენ სოფლის გაჭირვებას და მიმართავენ იქ, სადაც ჯერ არს, რათა დამშეულ სოფელს, დროზედ აღმოუჩინონ დახმარება!..

კ. რატიშვილი.

—

წარმოდგენები პროვინციაში.

ოჩამჩირე. კვირას, თიბათვის 4 ს ადგილობრივ ორკლასიან სკოლის შენობაში მოწაფეთა მიერ წარმოდგენილი იქმნა „ვნების ბრჭყალებში“ 5 მოქმ. დრამა ბოჭორიშვილისა და რუსული ერთ მოქმედებიანი პიესა. ადგილობრივ წარმოდგენა გაიმართა ახლად გახსნილ ქალთა სპროფესიო სკოლის სასარგებლოდ. ადგილობრივმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, ბევრი უადგილობით დარჩა. საერთოდ პიესა კარგად იყო შესრულებული, ეტყობოდა მოწაფეებს შრომა გაეწიათ. საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოსწავლე ქალმა ვერა მაღრანიამ ალოლას როლში. კარგი იყო ვერა აღონიაც მოლოზნის როლში. პიესების შემდეგ წაკითხული იქმნა ლექსი ქართულად და რუსულად. ქართული პიესის რეჟისორად ჯარიკაცი ა. ალანია, რუსულის ფერშალი გვეჯაბიძე.

შემდეგ გაიმართა კონცერტი კონცერტს მეთაურობდა რეალური სასწავლ. მოწაფე ქ. გოგიტიძე. საზოგადოება ღამე სამ საათზე დაიშალა.

ი. ბალათურელი.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.48	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	8.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.18	საღ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 5,	10.05	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

გამოცემა ქნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისად აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—16)

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—42)

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ზეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხი—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საზებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა და საზებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დუკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრონიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე, ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—25

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „[illegible]“, [illegible] ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „[illegible]“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო [illegible] ცოცხალი თევზი. ვგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, [illegible], გვაქვს აგრეთვე მიღებული [illegible] კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა [illegible]. (წ.)